ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული გაზეთი — ოთხშაბათი 20 იანვარი 1999 №7 (780) — ფასი 50 თეთრი

სპარტაკმა ქიქაველაშვილი მიიახლოვა

რუსები დავითს ქართველებს დააჭიდებენ

დევიდ ბექემი დაშავდა

საზარდულატკივებული მანჩესტერელი ამ უქმეებზე „ლივერპულს“ ვერ შეებმება

ჩიკაგო იშლება:

ჯორდანდაკარგულებს პიპენიც გაეცალათ

ინგლისმა თავი მოიკვეთა

„ხუთ ერს“ მოკვეთილ ინგლისელ მორაგბეთა კაპიტანს ლოურენს დალაგლიოს იმედი მაინც არ დაუკარგავს



სიეტლმა სტეფანია გამოისყიდა

ბადრი კეთილაძის ფოტო

სონიქსს სურს, სეზონი ვოვასთან ერთად დაიწყოს. სტეფანია ახლა სიეტლში ვარჯიშობს, კონტრაქტის გაფორმებას ელის და ოლიმპიასთან სასამართლო დავას არ აპირებს

იხილეთ მეცხრე გვერდი

კორდას სალამიც დაუწუნეს

კოლეგების თუ მასმედიის განუწყვეტელი თავდასხმების მიუხედავად, შარშანდელი ოუფენის ჩემპიონმა პეტერ კორდამ თავისი ტიტულის დაცვა გუშინ მაინც დაიწყო, დაიწყო წარმატებით, თუმცა ხათაბალაში გახვევა ისეც ფრთებგაშლილი დოპინგ-სკანდალის გარეშეც მოახერხა.

იხილეთ მეათე გვერდი

REUTERS მეშვეობით

პეტერ კორდა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

თემურ ბეჟანიძე: თასს ნურვინ შეგვეცილება

შარშანდელი წელი „ბათუმისთვის“ იღბლიანიც იყო და უიღბლოც. მაისში გუნდმა საქართველოს თასი მოიგო და მეცხრე ეროვნული ჩემპიონატის ვერცხლის მედალიც დაისაკუთრა, აგვისტოს დასაწყისში კი სუპერთასი აართვა ჩვენს მარად ჩემპიონს. ძლიერ გაიხარეს ბათუმელებმა. „დინამოზე“ ორგზის აღმატება, დამეთანხმებით, იოლი როდია. ცხრა წელი ელოდა „ბათუმი“ ამგვარ წარმატებას და, როგორც იქნა, მიაღწია სანდელს.



„ბათუმის“ პრეზიდენტი თემურ ბეჟანიძე

თბილისი. ეროვნული სტადიონი. 1998 წლის 26 მაისი. უზომო იყო ბათუმელ ქომაგთა სიხარული

ამის შემდეგ ყველასთვის მოულოდნელად აჭარელთა გუნდს დაღმასვლის პერიოდი დაუდგა. მეათე ჩემპიონატზე უფერული სტარტი, მხოლოდ ორი ქულა და მეთხუთმეტე ადგილი. ამას თასების თასის გათამაშებიდან ბელგრადის „პარტიზანთან“ გამოვარდნაც ჩაემატა და 1998 წლის შემოდგომას „ბათუმი“ კრიზისით შეეგება. მერე კი ნელ-ნელა მოახერხა ძალების მობილიზება. თასის მერვედფინალიდან გორის „დილა“ დაიფრინა და ლიდერთა ხუთეულში დამკვიდრდა. თუმცა დანაკარგი ერთობ საგრძნობი აღმოჩნდა. მიუხედავად სტაბილური შემადგენლობისა, „ბათუმს“ ძალიან გაუჭირდება საპრიზო სამეულში მოხვედრა. თასის გათამაშების მეოთხედფინალშიც მეტად უხერხული მეტოქე „ლოკომოტივი“ ერგო, მაგრამ შოთა ჭეიშვილის გამოცდილ შეგირდებს ბედს შეგუება არ ჩვევიათ. ისინი ყველანაირად შეეცდებიან მიღწეულის შენარჩუნებას.

ალბათ, გახსოვთ, პირველ წრეში გუნდების მოღვაწეობის ცალ-ცალკე შეფასებისას „ბათუმთან“ დაკავშირებით ერთი საჩოთირო ამბავი შეგვემთხვა. ჭეიშვილის მიერ ინტერვიუზე თავაზიანი უარის შემდეგ კლუბის პრეზიდენტს კი დავუკავშირდით, მაგრამ დაპირებული საუბარი ვერ მოხერხდა...

გუშინ კვლავ შევხვდიანეთ ბატონ თემურ ბეჟანიძეს და დიალოგიც შედგა.

— რას მივაწეროთ მეათე ეროვნულის დასაწყისში „ბათუმის“ ასეთი უფერული გამოსვლა?

— არ ვიცი, როგორ გითხრათ. ნამდვილად რაღაც ავადმყოფობა შეეყარა ჩვენს გუნდს. ყოველივე ლამისაა უკურნებელ სენად გადაგვექცეს. თითქმის ყოველ სეზონს ცუდად ვიწყებთ და შემდეგ ვცდილობთ დაკარგულის ანაზღაურებას. მეათე ჩემპიონატის პირველ წრეშიც იგივე დაგვემართა, თუმცა შემოდგომის გათამაშების მიწურულიც ჩავაგდეთ.

— ვერც თასების თასის გათამაშებაში დატოვეთ კარგი შთაბეჭდილება. მეთანხმებით?

— ძალიან განვიცადეთ ეს მარცხი. კარგად მოგეხსენებათ, „პარტიზანი“ არ არის ხელწამოსაკრავი მეტოქე. ჩვენს შემდეგ ხომ ბელგრადელებმა ინგლისის „ნიუკასლი“ იმსხვერპლეს და რომის „ლაციოსაც“ ღირსეულად ეთამაშნენ. რაც შეეხება „ბათუმის“ გამოსვლას, უნდა აღვნიშნო, რომ პირველ შეხვედრაში ბიჭებმა მართლაც ვერ აჩვენეს კარგი თამაში, თუმცა ანგარიში საგანგაშო არ იყო და რევანშისთვის ვემზადებოდით. შეგვეძლო კიდეც შემდეგ ეტაპზე გასვლა, მაგრამ ცოტა ფორტუნამაც გვაქცია ზურგი. საპასუხო მატჩში ჩვენი ფეხბურთელები ურიგოდ ნამდვილად არ გარჯილან.

— როგორ შეაფასებთ „ბათუმის“ პირველ წრეში გამოსვლას?

— ალბათ, უარყოფითად. ძალიან დასანანი ქულები დავკარგეთ, თუმცა მეორე წრეს იმედიანად ველოდებით.

— საინტერესოა თქვენი აზრი გუნდის შემადგენლობის თითოეული რგოლის შესახებ.

— ამ კითხვას თავს ავარიდებ. ეს უფრო მწვრთნელის პროგრამატიკაა და არ მსურს, დილეტანტის დონეზე გესაუბროთ.

— შემოდგომის სეზონში „ბათუმის“ რომელმა თამაშებმა დატოვა თქვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება?

— საჩემპიონატო მატჩებიდან ორ შეხვედრას გამოვყოფდი. თბილისში „დინამოსთან“ ფრედ რომ ვითამაშეთ და ბათუმში „კოლხეთს“ ნაღდ ბრძოლაში ვძლიეთ. დამამახსოვრდა აგრეთვე სათასო მატჩი გორში „დილასთან“. იქაც ღირსეულად ვიმარჯვეთ. სამივე პაექრობა სანახაობრივადაც მეტად გამორჩეული იყო.

— მეტოქეებზე რას გვეტყვით, მთავარ კონკურენტებად ვის მიიჩნევთ?

— „დინამო“ და „ტორპედო“, რა თქმა უნდა, გამოკვეთილი ლიდერები არიან. ქულათა სოლიდური მარაგიც მოაგროვეს და კონკურენტებიც გვარიანად ჩამოიცილეს. საეჭვოა, ამ გუნდებს ვინმე სერიოზულად დაემუქროს პირველ-მეორე ადგილებისთვის ბრძოლაში. სხვა კლუბებიდან „ლოკომოტივს“ და „კოლხეთს“ გამოვარჩევ. აი, სწორედ ამ გუნდებთან მოგვიწევს ბრინჯაოს მედლებისთვის ჭიდილი.

— ფეხბურთელებიდან ვის გამოყოფთ?

— კარგი ბიჭები ჰყავს „დინამოს“, ქუთაისს... კონკრეტულად ვინმეს დასახელებისგან თავს შევიკავებ.

— თასის გათამაშებაში გორის „დილას“ იოლად გაუმკლავდით, მაგრამ წილისყრამ მერვედფინალიდან ჩემპიონის გამომთმაშველი „ლოკომოტივი“ გარგუნათ. თანაც რკინიგზელები ერთი ორად ძლიერდებიან. როგორია თქვენი შანსები?

— „ლოკომოტივი“ მართლაც ნორმალურად გამოიჭრება. წაუგებელად გალია პირველი წრე და თასის გათამაშება. ვერც მოგებების სიმრავლით დაიკვეხნის, მაგრამ რაც მთავარია, გუნდს მარცხი არ უწვნევია, ეს კი ყოველთვის ორმაგი სტიმულის მომნიჭებელია. რაც შეეხება შანსებს, ორმოცდაათი ორმოცდაათზეა. ისე, იცოდეს ყველამ, რომ ჩვენ თასის მფლობელები ვართ და ყველანაირად შევეცდებით მის შენარჩუნებას. ყველაფერი კი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოვემზადებით.

— სწორედ „ბათუმის“ მზადების შესახებ მინდა გკითხოთ.

— გუნდი ჯერჯერობით ადგილზე ვარჯიშობს ინტენსიურად. შემდეგ კი ორკვირიან შეკრებას მოვაწყობთ ბათუმისგან არც ისე მოშორებით. კონკრეტულად სად, ჯერ არ გადაგვწყვეტია.

— ჭიჭვეიშვილის გარდა სხვა ფეხბურთელებს ხომ არ შეელიეთ?

— არა. დანარჩენები ადგილზე არიან და სამეორეწრეოდ ემზადებიან.

— შევსებაზეც გვითხარით.

— დავიმატეთ უგუნდოდ მყოფი გოჩა გუჯაბიძე და რეგიონალლიგიდან მობრუნებული მამუკა დოლიძე. არგეთვე „კრილიაში“ მოთამაშე მამუკა მინაშვილი.

— ნიგერიელი ლეგიონერის მოყვანასაც აპირებთ?

— დიახ. ამ ფეხბურთელმა „ბათუმში“ თამაშის სურვილი გამოთქვა და იანვრის ბოლოსთვის ველოდებით. მის შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რომ იგი თავდამსხმელია და ნიგერიის 18-წლამდელთა ნაკრებში თამაშობს. სხვა ინფორმაციას დღეისათვის არ ვფლობთ. ვნახოთ, ჩამოვა და ადგილზე დავაკვირდებით.

— ფინანსურად როგორი მდგომარეობაა კლუბში?

— ჩვენთან ამ მხრივ საგანგაშო არასდროს ყოფილა და არც ახლაა. ყველაფერი ნორმალურადაა.

— ჩემპიონატის დონეზე რას გვეტყვით, წინ მივიწევთ თუ...

— წინა გათამაშებებთან შედარებით, ალბათ, ოდნავი პროგრესია. უკუსვლას ნამდვილად ვერ ვხედავ. ფედერაციაშიც არცთუ დიდი ხანია, ახალი ხალხი მოვიდა და იმედია, დროთა განმავლობაში ბევრ სასიკეთოს გააკეთებენ ქართული ფეხბურთისთვის.

ხვიჩა სანიკიძე

ჟორდანია აღარც უქმობს

გუშინ მართლმადიდებლური საქრისტიანოს ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაული — ნათლისღება იყო. 19 იანვარი კალენდარში უქმე დღე გახლდათ. მაგრამ ღვთისმოშიშობას ხელი არ შეუშლია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტისთვის, ქართულ კლუბებთან შეხვედრა სწორედ ამ დღეს გაეგრძელებინა.

მერაბ ჟორდანია დილით თსუ-ს თავკაცობას შეხვდა, ნაშუადღევს კი — „ტორპედოსას“.

გუშინდელ „სარბიელში“ ვწერდით გულის კუნთის მოდუნების გამო საავადმყოფოში მოხვედრილი მიხეილ ქორქია დღედღეზე გამოეწერებაო. ეტყობა, ამან დააჩქარებინა ფედერაციის პრეზიდენტს, ქუთაისელ კოლეგას სწვეოდა — მოჭარბებული ყურადღება გამოიჩინა და მიხეილ ქორქია საავადმყოფოშივე მოინახულა. მით უმეტეს, რომ ჯანმრთელობის გაუმჯობესება „ტორპედოს“ პრეზიდენტს საქმიანი საუბრის საშუალებასაც აძლევდა. თანაც ამ შეხვედრას ქუთაისელთა ფინანსური მენეჯერი გელა მერკვილაძე და კლუბის დირექტორი მურად ქუთათელაძეც ესწრებოდნენ, რამაც მას ოფიციალური სახე მისცა.

მახტანგ გზიკაძე

სტუდენტები არმიელებს უამხანაგდებიან



ბადრი კბილაძის ფოტო

ალეკო ბუკია „არმაზიდან“ ავლაბრისკენ იმზირება

თბილისის „ვიტ ჯორჯიამ“ მცხეთის „არმაზის“ სტადიონი რომ შეიძინა, გუშინაც გამცნეთ. ამ ფაქტმა პრობლემა შეუქმნა თბილისის თსუ-ს, რომელიც მეორე სეზონია, საშინაო მატჩებს სწორედ „არმაზზე“ ატარებდა. კლუბის პრეზიდენტ ალეკო ბუკიას თქმით, ამჟამად წარმოებს მოლაპარაკება თავდაცვის სამინისტროსთან და შეთანხმების შემთხვევაში თსუ მეორე წრეში საშინაო მატჩებს ავლაბარში, „ისანის“ სტადიონზე გამართავს. შეგახსენებთ, აქვე მასპინძლობს მეტოქეებს თვით თავდაცვის სამინისტროს კლუბი „არსენალიც“. როგორც ბატონმა ალეკომ გვითხრა, კლუბის ხელმძღვანელობამ ფინანსური მოსაზრების გამო მანამდე განაცხადა მცხეთაში თამაშზე უარი, ვიდრე მას ვიტელები შეისყიდიდნენ და აქედან გამომდინარე, მათ გადაწყვეტილებას „არმაზის“ გაყიდვასთან საერთო არაფერი აქვს. სად ივარჯიშებენ სტუდენტები, ჯერ უცნობია, თუმცა ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, რომელიც კლუბის ხელმძღვანელობას გუშინ შეხვდა, მათ ამ პრობლემის უახლოეს დღეებში გადაწყვეტას შეჰპირდა. ბუკიას თქმითვე, უნივერსიტეტის რექტორი, ბატონ როინ მეტრეველის დახმარებით კლუბში ამჟამად ნორმალური ფინანსური მდგომარეობაა და სეზონის ბოლომდე ამ მხრივ საფრთხე არ გვემუქრება. რაც შეეხება მიზნებს, ჯგუფში ადგილი ულაპარაკოდ უნდა შეინარჩუნოთო. თუმცა დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით ოპტიმისტურად ყოფილან განწყობილნი და მეტის მიღწევის იმედიც ჰქონიათ.

გუშინვე თსუ-ს ხელმძღვანელობასთან შეხვედრის შემდეგ ფედერაციის შეფი გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიასთან და მის თანაშემწე მამუკა კვარაცხელიასთან ერთად ქუთაისის „ტორპედოს“ გამოჯანმრთელებულ პრეზიდენტს, მიხეილ ქორქიას, საავადმყოფოში ეწვია.

ვანო ოძრობირიძე

გაბელია დაიმედებულია



ოთარ გაბელია

ფოტო ბადრი კბილაძის

გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ როინ მეტრეველს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია, თანაშემწე მამუკა კვარაცხელია, საფეხბურთო კლუბ თსუ-ს პრეზიდენტი ალეკო ბუკია, გუნდის მთავარი მწვრთნელი ოთარ გაბელია და მწვრთნელი ელგუჯა ხუციშვილი ეწვივნენ. გუშინდელი შეხვედრის შესახებ დღევანდელ „სარბიელში“ გიამბობთ, შეხვედრის დასრულების შემდეგ თსუ-სავან-ჩავანზე სტუდენტთა დამრიგებელ ოთარ გაბელიას გავესაუბრეთ:

— 11 იანვარს მეორე წრისთვის მზადება დავიწყეთ, ამჟამად „ავაზას“ საფეხბურთო სკოლაში ვვარჯიშობთ. ცხრა კაცმა რომ დაგვტოვა, ალბათ, იცით (მათი ვინაობა გუშინდელ „სარბიელში“ გამცნეთ), შემატებით ახალგაზრდების გარდა არავინ შეგვმატებია, ისეთი, გამოცდილება მაინც რომ ჰქონდეს. თუკი დავითანხმეთ, შესაძლოა, ამჟამად „მერანთან“ მოვარჯიშე ირაკლი ხუჯაძე წამოვიყვანოთ. ჯერჯერობით ადგილზე ვემზადებით, ამხანაგური მატჩებიც გვაქვს დაგეგმილი (თსუ 24 იანვარს „ცხუმთან“ აპირებს საკონტროლო თამაშს), ქალაქგარეთ შეკრებაზე წავალთ თუ არა, ეს კლუბის ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული. რექტორთან და სფფ-ს ხელმძღვანელობასთან შეხვედრით კმაყოფილი ვარ და იმედი გამიჩნდა, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

სტუდენტთა მეკარეთა მწვრთნელი ავთო ნებიერიძე რომ სამწვთრნელოდ ზესტაფონის „მარგვეთში“ წავიდა და მის ადგილზე ზაზა დიდებაშვილი იმუშავებს, ეს გუშინაც გამცნეთ, თავად გაბელიამ კი ამ ფაქტს ასეთი კომენტარი გაუკეთა:

— ჩვეულებრივი ამბავია, ავთომ მოისურვა, მშობლიური ქალაქის გუნდს გაუზიაროს გამოცდილება. იგი ზესტაფონელია, არავითარი უთანხმოება არ ყოფილა, უბრალოდ, ეს არის მისი გუნდიდან წასვლის მიზეზი.

გიორგი ვაშაკიძე

გამოცდილება კარგია, მაგრამ...



ვალერი ლობანოვსკი (მარცხნივ) და ოლეგ რომანცევი: ვინ ვის? თანამეგობრობის ტურნირი ამათ ჭიდილად გადაიქცა

23 **იანვარს** მოსკოვში დსთ-ს ჩემპიონთა თასის მორიგი, მეშვიდე გათამაშება იწყება. მოგეხსენებათ, საქართველოს უცვლელი ჩემპიონი თბილისის „დინამო“ ტურნირში 1993 წლიდან, ანუ მისი დაარსებიდან დღემდე უცვლელად მონაწილეობს. თუკი წინა გათამაშებაში „დინამო“ მოსკოვს პრესტიჟის გამო მიდიოდა (1995 წელს ფინალში „სპარტაკთან“ 1:5 წააგო, 1993 და 1994-ში ნახევარფინალიც გავიდა და შესაბამისად იმავე „სპარტაკთან“ (1:2) და ფერღანის „ნეფთჩისთან“ (2:3) დამთმ), ახლა გუნდის ხელმძღვანელებმა ჩათვალეს, რადგან ტურნირი თანდათან კარგავს ავტორიტეტს, აჯობებს, ახალგაზრდები გაუშვათ საბურთაოდ, სხვა თუ არაფერი, ბიჭები გამოცდილებას მიიღებენო. თქვეს და არც გადათქვეს. როგორც ცნობილია, დსთ-ს ჩემპიონთა თასზე ფაქტიურად „დინამო 2“ გამგზავრება, რომელთაც ოთარ კორლალიძე (მთავარი მწვრთნელი) და თანაშემწეები ბორის სიჭინავა და ნესტორ მუმლაძე დამოძღვრავენ. „დინამო“ მოსკოვს 22 იანვარს, 14 საათზე გაფრინდება და სასტუმრო „კოსმოსში“ დაბინავდება. 18-კაციან გუნდში გამოცდილნი მხოლოდ მეკარე დავით გვარამაძე და ტრავმამოშუშებული მცველი მამუკა მაჭავარიანი არიან, დანარჩენები კი, როგორც უკვე გითხარით, ახალგაზრდები გახლავთ. „დინამოს“ სრული შემადგენლობა კი ასეთია:

მეკარეები: დავით გვარამაძე, გიორგი ნიკურაძე; მცველები: მამუკა მაჭავარიანი, თორნიკე რუხაძე, გიორგი შაშიაშვილი, რევაზ ქემოკლიძე, გიორგი ხიზანიშვილი, ვალერი აბრამიძე; ნახევარმცველები: ოლეგ გველესიანი, გიორგი საჯაია, მიხეილ ასათიანი, ირაკლი შენგელია, ლადო ბურდული, დავით ტყებუჩავა; თავდამსხმელები: ვალერი გაგუა, გიორგი შენგელია, გიორგი მიქაძე, თორნიკე აფციაური;

ახლა კი ორგანიზაციულ საკითხებზეც ვთქვათ. თანამეგობრობის ჩემპიონთა თასის წლევანდელი გათამაშება, წინამორბედთაგან განსხვავებით, სახეშეცვლილია. ადრე ოთხი ჯგუფი იყო და შემდეგ ეტაპზე ორ-ორი გუნდი გადიოდა, რომლებიც შემდეგ მეოთხედფინალურ წყვილებს ადგენდნენ, ახლა საქმე სხვაგვარადაა. ორგანიზატორებმა, ტურნირისთვის უფრო სოლიდური სახე რომ მიენიჭებინათ, ქვეყნების ჩემპიონები ორ ლიგაში გაანაწილეს. თითოეულში ორ-ორი ქვეჯგუფია. ელიტარულ ლიგაში A და B ქვეჯგუფში განთესილი ქვეყნის ჩემპიონები მოხვდნენ, ხოლო რანგით უფრო დაბალ ლიგაში C და D ჯგუფში განთესილი გუნდები.

ტურნირის ორგანიზატორებმა „დინამო“ ელიტარულ ლიგას მიაკუთვნეს და A ჯგუფში განთესეს. როგორ უკვე ცნობილია, ჩვენთან ერთად რუსეთის ჩემპიონი მოსკოვის „სპარტაკი“, ლიტვის ჩემპიონი ვილნიუსის „ჟალგირისი“ და ბელარუსის ჩემპიონი მოგილიოვის „დნეპრტრანსმაში“ მოხვდნენ.

დსთ-ს ჩემპიონთა თასს დიდი ყურადღება რომ არ ექცევა, ამაზე მისდამი გუნდების დამოკიდებულებაც მეტყველებს. როგორც შევიტყვეთ, ტურნირში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს ლიტვის, ესტონეთისა და მოლდოვის ჩემპიონებმა, სანაცვლოდ კი ვიცე-ჩემპიონები ითამაშებენ. ჩვენ ჩვენი ვიკითხოთ, ვილნიუსის „ჟალგირისს“ კი, სავარაუდოდ, ამ ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი „კუნასი“ შეცვლის.

სანამ ტურნირის სისტემაზე გეტყოდეთ, „დინამოს“ ჯგუფური თამაშების განრიგსაც გაგაცნობთ: 23.01 „კუნასი“ — „დინამო“, 24.01 „სპარტაკი“ — „დინამო“, 26.01 „დინამო“ — „დნეპრტრანსმაში“.

მეორე ეტაპზე, ჯგუფური თამაშების შემდეგ, A და B ჯგუფის ორ-ორი საუკეთესო გუნდებისგან შეიქმნება ფინალური ოთხეული. პირველ-მეორე ადგილებზე გასული ერთმანეთში ნათამაშევი მატჩების შედეგები გადაჰყვებათ, დამატებით კი ორ თამაშს გამართავენ. ეს შეხვედრები 27 და 29 იანვარს ჩატარდება, ფინალი კი 31-შია დანიშნული. ტურნირის საპრიზო ფონდი 100 000 დოლარს შეადგენს.

„დინამოს“ მწვრთნელებმა გვითხრეს, ამ ტურნირზე ბიჭები გამოცდილებას მიიღებენ, მაინც ახალგაზრდები, გამოუცდელები არიან და ჯიგრიანად ითამაშებენო. თხოვნით არაფერს გვთხოვენ, თუ ქვეჯგუფიდან გავედით, ხომ კარგი, თუ არა და, რას ვიზამთო. რას ვიზამთ და სამომავლოდ რანგით დაბალ ლიგაში ჩავინაცვლებთ, თუკი დსთ-ს ჩემპიონთა თასმა არსებობა არ შეწყვიტა.

და კიდევ, გულშემატკივართა ინტერესის დასაკმაყოფილებლად გაცნობებთ: კვირას, 24 იანვარს, 16 საათზე, ტელეკომპანია ORT გადმოსცემს „სპარტაკი“ — „დინამოს“ პირდაპირ ტრანსლაციას.

გიორგი ვაშაკიძე

სპარტაკი და ჭიჭვეიშვილი: გაგრძელება იქნება

წუხელ, ისრაელიდან მოსკოვში დაბრუნებული მოსკოვის „სპარტაკის“ პრეს-ატაშეს ალექსანდრე ლვოვს შევეხმიანეთ. რა თემაზე ვისაუბრებდით, თქვენთვის ძნელად მისახვედრი არ იქნება: ჯერაც „ბათუმის“ ფეხბურთელი დავით ჭიჭვეიშვილი ხომ რუსეთის ჩემპიონს ისრაელში ჰყავდა შეკრებაზე. „სპარტაკი“ აღთქმული მიწიდან 17 იანვარს ჩაფრინდა მოსკოვს და მზადება მანეჟში განაგრძო. ბატონმა ლვოვმა კი „სარბიელს“ ეს უთხრა:

— გადაჭრით ჯერაც ვერაფერს გეტყვით. ჩაირიცხება თუ არა ჭიჭვეიშვილი „სპარტაკში“, მწვრთნელის საქმეა. ისე, რომ იცოდეთ, ისრაელის შეკრების შემდეგ ოლეგ რომანცევმა რამდენიმე ლიტველი ფეხბურთელი შინ მიაბრუნა. დავითს კი სთხოვა, ისევ გუნდთან დარჩენილიყო და მომზადება გაეგრძელებინა. ეს წუთია „სპარტაკის“ ვარჯიშიდან დაბრუნდი, ჭიჭვეიშვილი გულმოდგინედ ემზადებოდა. თქვენებური თანამეგობრობის თასზეც ითამაშებს თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ და 4 თებერვალს „სპარტაკს“ მოსამზადებლად ისევ ისრაელში გაჰყვება. თქვენს მკითხველს კი შეგიძლიათ აცნობოთ, რომ „სპარტაკი“ და მათი მწვრთნელები დავით ჭიჭვეიშვილით კმაყოფილნი არიან.

ძოგა ინასარიძე

მინაშვილი ნოსტალგიამ შეაწუხა

ამასწინდელ „სარბიელში“ საქართველოს თასისა და სუპერთასის მფლობელ „ბათუმზე“ გაუწყებდით, წასვლით ჭიჭვეიშვილის გარდა არავინ წასულა, ყველანი გუნდში არიან, დამატებით კი ერთ დროს ეროვნული ნაკრების მცველი გოჩა გუჯაბიძე და გერმანიიდან მობრუნებული თემურ დოლიძე დაიმატესო. მალე კი „ბათუმში“ კიდევ ერთი ფეხბურთელი ჩაირიცხება.

მამუკა მინაშვილი დაბრუნდა

31 წლის თავდამსხმელი მამუკა მინაშვილი რუსეთიდან დაბრუნდა, სადაც რუსული უმაღლესი დივიზიონის სამარულ „კრილია სოვეტოვთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა. მინაშვილი ეროვნული ჩემპიონატის დასაწყისში თბილისურ „შევარდენში“ თამაშობდა, ხოლო შემდეგ ხაშურის „ივერიაში“ გადაბარგდა.

1994 წელს მინაშვილი რუსეთში წავიდა და „კრილია სოვეტოვში“ ამოჰყო თავი. იქ მამუკამ ოთხი წელიწადი დაჰყო, ამ ხნის მანძილზე სამარელთა ძირითადში 47-ჯერ მოასწრო თამაში და 6 ბურთიც შეაგდო, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მამუკას გოლების გატანაში ტრავმებმა შეუშალეს ხელი.

ეტყობა, მინაშვილი ნოსტალგიამ შეაწუხა და დაბრუნებაც ამიტომ გადაწყვიტა.

გიორგი ვაშაკიძე

«ქართული ფეხბურთის» მეორედ მოსვლა



იყო გაზეთი და აღარ არის. „ქართული ფეხბურთი“ 1990 წლიდან შარშანდლამდე შიგადაშიგ შესვენებებით, მაგრამ მაინც რეგულარულად გამოდიოდა.

გაზეთი, რომლის გამომცემელი ფეხბურთის ფედერაციაა, ცხადია, ამ თამაშის პოპულარიზაციას, უპირველესად კი საფეხბურთო ინფორმაციის მკითხველისთვის მიწოდებას უნდა უზრუნველყოფდეს. არადა, ბოლო წლებში ასე აღარ იყო... გაზეთმა საფეხბურთო სამყარო ორად გაჰყო და მხარეები ერთმანეთს წაკიდა...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალმა თავკაცობამ გაზეთის გამოცემა აღარ განაახლა. სამაგიეროდ ბიულეტენის გამოშვება აგერ იანვრიდანვე დაიწყო, ოღონდ ყოველთვიურს სახელი შეუნარჩუნა.

ამის თაობაზე ახალი თავკაცობა ფედერაციაში მისვლისთანავე დაგვპირდა. ღმერთმა ქნას, ყველა დანაპირები ასე ოპერატიულადვე ასრულებულიყოს.

ოქროს ციებ-ცხელება

სიონმა ზღვაზე წასასვლელად ავსტრალიელებს მიმართა

თითქმის ორი კვირაა, ბოლნისის „სიონმა“ სამეორეწრეო მზადება დაიწყო. სპარტაკ არჩვაძის შეგირდები ამ ხნის მანძილზე ბოლნისსა და თბილისს შორის არიან გამოკიდებულნი — დილით გუნდი კუს ტბაზე ვარჯიშობს, შუადღისას კი წვრთნას მშობლიურ „თემურ სტეფანიაზე“ აგრძელებს. ქვემოქართლელებს ალტერნატივა არც უჩანთ, მატერიალური მხარე არ აძლევთ ამის საშუალებას. ამავე მიზეზით „სიონის“ ნანატრი ბორჯომული შეკრებაც ოცნებად დარჩა. კაცი იმედით ცოცხლობსო, ნათქვამია ნათქვამია იმედიანი მზერა კაზრეთის მადნეულზე, უფრო სწორად, იქ ამჟამად მოღვაწე ავსტრალიული ფირმისკენ მიუპყრიათ. სპარტაკ არჩვაძის თქმით, ავსტრალიელებს გვარიანი ოქროს სუნი დაუყენებიათ და „სიონის“ ხელმძღვანელობასაც იმედი ამად გაღვივებია. კლუბის პრეზიდენტს მერაბ ჯაფარიძეს აქტიური მოლაპარაკება გაუმართავს ავსტრალიულ მხარესთან და მათგან საბოლოო პასუხს დღეისთვის ელის. ბოლნისელებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდება და ათი თებერვლიდან ქობულეთში ორკვირიანი შეკრებაც წინასწარ დაუგეგმავთ.

გუშინ კი „სიონმა“ მორიგი საკონტროლო მატჩი ჩაატარა თბილისის „ლოკომოტივთან“. დიღომში, რკინიგზელთა ბაზაზე გამართულ შეხვედრაში გუნდებმა ორ-ორი შემადგენლობით ითამაშეს, საბოლოო ჯამში მასპინძლებმა უპრობლემოდ მიაღწიეს იოლ წარმატებას — თემურ მახარაძის შეგირდებმა 5:1-ით იმარჯვეს.

ერთიც ვთქვათ. ამ შეხვედრაზე (ისევე როგორც წინა საკონტროლო მატჩებზეც) მსაჯთა ბრიგადას მათი „მწვალებლებიც“ მოჰყვნენ (მატჩს მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი მილჩენკო და ადიკ დურსუნიშიც დაესწრნენ). შეხვედრის დაწყების წინ მილჩენკო მინდვრის მოუწყობლობით უკმაყოფილო იყო (ცოდვა გამხელილი ჯობს და მოედანი დაუხაზავი იყო). მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარემ მინდვრის სიახლოვეს ვერც დასაჯდომი სკამი აღმოაჩინა და თავისი უკმაყოფილება ჩვენც გაგვიზიარა. თანაც დაგვპირდა, უახლოეს მომავალში ამგვარ გაუგებრობებსაც აღმოვფხვრიო. საოცარია ამ კაცის მონდომება. ჩვენს ფარღალალა ფეხბურთს შეჩვეულთ ისეთ ნიუანსებზე გვამახვილებინებს ყურადღებას, რომ... ვინ იცის, ნათქვამია — სიღნაღი კენჭებითაა ნაშენიო.

პაატა კვანტალიანი

საქართველოში მივიწყებული...

5 გოლი 15 მატჩში და ორგზის ტურის რჩეულობა ნებისმიერი მცველისთვის თავმოსაწონია. მაგრამ თუ იგი ისრაელში თამაშობს და თანაც მეორე ლიგაში, ცხადია, ასეთი შედეგი დიდად საამაყო ვერაა.

ერთადერთი, რის გამოც ამაზე გვიხდება წერა, ისაა, რომ ზემოთქმული საქართველოში კარგა ხანია დავიწყებულ გოჩა ტყებუჩავას ეხება, თბილისის „დინამოს“ და საქართველოს ნაკრების ოდინდელ მცველს.

გოჩა ტყებუჩავა მეორე ებრაული ლიგის „ჰაკოახში“ თამაშობს. ქალაქ რამათგანის გუნდი პირველი წრის შემდეგ მეორე ადგილზეა და ლიდერს ორი ქულით ჩამორჩება. ასე რომ, ისრაელის პირველ ლიგაში მოთამაშე ქართველებს საგაისოდ, ალბათ, ერთიც შეემატებათ.

ვახტანგ გზიკაძე

პირველი ჯგუფი. პირველი ტურ

ვერ ვნახეთ, დაკარგულიყო

ზუგდიდის „ოდიში“ ის გუნდია, რომელიც გაცილებით უკეთესი დროებით დაიტრაბახებს. იყო დრო, ოდიშელებს ლეგიონერებიც ჰყოლიათ, ხოლო ზუგდიდიდან სამი ქულის წამოღება ნებისმიერი გუნდისათვის გმირობის ტოლფასი ყოფილა.

არა, „ოდიში“ არასდროს გარეულა პრიზიორთა მარაქაში. ეროვნულ ჩემპიონატში მათი მაქსიმუმი მეხუთე ადგილი იყო. არც თასის ფინალში ყოფილან ზუგდიდელები. სამჯერ უნიეს ნახევარფინალს, მაგრამ „ოდიში“ იყო გამორჩეული ხელნერის გუნდი, შინ მუდამ თავდადებით მოთამაშე, რომელსაც ასევე გამორჩეული და ექსტრავაგანტური გულშემატკივარი აძლევდა დამატებით მუხტს.

ბადრი ძებელიძის ფოტო

„ოდიშის“ მეგოლე ზვიად ენდელაძე აწი სხვა გუნდისთვის გაიტანს

ეს ყველაფერი ადრე იყო. მაშინ „ოდიშს“ ფინანსურად არ უჭირდა. უფრო თავზე გადასდიოდა და ირგვლივაც ყველა კმაყოფილი ჰყავდა.

მახსოვს, ერთ-ერთი კალენდარული მატჩის შემდეგ დავით ყიზილაშვილის თამაშით აღტაცებულმა ზუგდიდელემა გულშემატკივარმა თავდამსხმელის პატივისცემა გადაწყვიტა. ბევრი ფიქრის დრო აღარ იყო და ოდიშარებმა ჯიბეზე გაიკრეს ხელი. ფული არსად დაეტია და ყიზომაც მაისური დაიხმარა. იმდენი დაგროვდა, ახლანდელ „ოდიშს“ სამი თვე თავისუფლად ეყოფოდა.

მერე იყო ომი და უბედურება. გაჭირდა ცხოვრება. ზუგდიდელებსაც ჯიბე შეუთხელდათ, თუმც იხტიბარს არ იტეხდნენ. ყოველ ახალ ჩემპიონატს ახალი იმედებით ხვდებოდნენ.

უცბად ძნელი გასახსენებელია, რამდენი პრეზიდენტი გამოუცვლია „ოდიშს“. ყველას რაღაც წვლილი შეუტანია გუნდის წინსვლაში. მხოლოდ ერთი მათგანი დარჩათ ზუგდიდელებს გამოუცნობ გამოცანად. ახლაც ამბობენ, სანამ გავიგებდეთ, რა კაცია, მანამდე ჩვენც ამოგვხვდება სულიო. მაგ კაცზე ვრცლად ქვემოთ ვისაუბროთ.

მწვრთნელებიც სახელოვანი ჰყოლიათ ოდიშართ. ოთარ გაბელია და მურთაზ ხურცილავა ქართულ ფეხბურთში ის ხალხია, რომლებსაც სათქმელი რიხით წამოუძახიათ. შედარებით მოკრძალებული გვარ-სახელია ბადრი თუთბერიძე, მაგრამ მანაც არაერთი სეზონი გაუძლო უქონლობას. ახლა სოსო ჭედიას ეპოქაა ზუგდიდში. გუნდისთვის ყველაზე არასასურველ ხანაში, რომელიც თამაში ისეთი ამბიციური გულშემაკივრების წინაშე, ზუგდიდელები რომ არიან?!

ბევრი დამეთანხმება, ძნელია, უძნელესიც კი.

მაგრამ ზუგდიდელებმა გაუგეს ჭედიას, ფეხბურთელებმა კი მწვრთნელს. ჭედიას თხოვნით გამოდიოდნენ ფეხბურთელები სათამაშოდ. არაერთხელ უთქვამთ კიდეც, სოსოს ვერ ვუტეხთ, თორემ ასეთ ტანჯვას ის სჯობდა, სათამაშოდ სულ არ გამოვსულიყავითო.

სოსო ჭედიამ, ფაქტობრივად, დაშლილი „ოდიში“ ჩაიბარა და სადებიუტო მატჩში, ლანჩხუთში, „გურიას“ მოუგო. გურულებს ქართლელებიც მიაყოლა და მეგრელებიც ოდნავ, მაგრამ წელში მაინც გასწორდნენ.

თითქოს აღმავლობა უნდა დაწყებულიყო. ზუგდიდელები დაკარგულ პრეზიდენტს ელოდნენ, მაგრამ არ იქნა და არ დაადგა საშველი მის გამოჩენას. ადრინდელ ვალებს ახალიც მიემატა და იმდენი დაგროვდა, რომ კლუბს მათი შიშით ვერავინ ეკარებოდა. პრეზიდენტი კი მაინც არ ჩანდა. როცა ყველა იმედი გადაიწურა, მერელა მიხვდნენ ზუგდიდელები, რომ გვიანი იყო.

პრეზიდენტს რომ ვახსენებთ, „ოდიშის“ მტერ-მოყვარეს თუ დამაქცევარს, ვახტანგ ნანავას ვგულისხმობთ. ნანავამ ესტაფეტა ბეჟან გუნავასგან ჩაიბარა. ნანავამ კარგად დაიწყო და ცუდად დაამთავრა. ნანავას მარტო ზუგდიდელები კი არა, მთელი საფეხბურთო საქართველო დაეძებს და არა მარტო ისინი. „ოდიშის“ აწ უკვე ყოფილი ფეხბურთელები სიმწრისგან ხუმრობით ამბობენ, მაგ კაცის ასავალ-დასავალი „ინტერპოლმაც“ არ იცისო. ზუგდიდში ცნობილი ქართული სიმღერა „სულიკო“ გადაასხვაფერეს — და ნანავას უმღერიან — თქვა ერთ-ერთმა ფეხბურთელმა.

ვახტანგ ნანავას ვალებს არავინ გადაიხდის, „ოდიში“ კი უპატრონოდ დარჩენილა. არ ეკადრება ასეთი გუნდი ზუგდიდს, მაგრამ ფაქტი სახეზეა.

სოსო ჭედიამ 27 ფეხბურთელი ათამაშა. „ოდიშმა“ 12 გოლი გაიტანა და 25 გაუშვა. დაგროვილ თექვსმეტ ქულას ზუგდიდელები მხოლოდ ღმერთს უნდა უმადლოდნენ.

„ოდიში“ 12 საათს ავტობუსში ატარებდა და სათამაშოდ მერე გამოდიოდა.

„ოდიში“ მსაჯების ფულს არ იხდედა.

„ოდიშს“ ფედერაციის ვალი აქვს, დაახლოებით 6 ათას ლარამდე. ფედერაციასთან შერცხვენილი და „პირგატეხილი“ ჯემალ გოგია რა ხანია, თბილისს არ ჩამოსულა.

„ოდიშს“ არც ხელფას-პრემიები გაუცია ფეხბურთელებზე, არც გუნდის ტექნიკურ პერსონალს ღირსებია ერთი თეთრი.

„ოდიში“ მაინც თამაშობდა. ხომ გაგიგიათ, გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას განახებთ. შარშანდლამდე სათადარიგოებში „დაკონსერვებული“ მეკარე მამუკა ნაყოფია სწორედ პირველ წრეში გააფთრდა. ლანჩხუთში მოგერიებულ ორ თერთმეტმეტრიანს წარმატებული მატჩების მთელი სერია მოჰყვა. დაცვაში კიპაროიძე, ლურსმანაშვილი და ბარქაია ინდომებდნენ. შუა ხაზი დისკვალიფიკაცია მოხდილი მარკოზიას, ჩადუნელის და ტყემალაძის იმედად იყო. წინ კი გამოცდილი ენდელაძე და თოლორდავა მოწინააღმდეგეს არ ეპუებოდნენ.

ზოგ თამაშში „ოდიშის“ „ახალგაზრდა გვარდია“ იბრძოდა თავგანწირვით და ზუგდიდელები მთლად განწირული აუტსაიდერები რომ არ არიან, ღვთისა და უსაშველო ენთუზიაზმის წყალობაა.

„ოდიში“ ყველა ჩაყვანილმა ფეხბურთელმა დატოვა. ჭედიას განკარგულებაში მხოლოდ 16 ადგილობრივი მოთამაშე დარჩა. ამათგან უმეტესობას პირველ ჯგუფში თამაშის გამოცდილება არ აქვს. დაგვეთანხმებით, მეტად არასახარბიელო პერსპექტივაა.

ზუგდიდური კლუბი ბოლო ადგილზე მყოფ „გურიას“ მხოლოდ ექვსი ქულით უსწრებს. უფსკრულში გადაჩეხვამდე ნახევარი ნაბიჯია. ქალაქს გუნდის შენახვის თავი არა აქვს. ყოველ შემთხვევაში, ასე იძახიან ხელმძღვანელები.

ვახტანგ ნანავა კი ჯერაც დაკარგულია. „ოდიშს“ გავარდნისგან სასწაული თუ იხსნის. შვიდი საშინაო შეხვედრა. წაუგებელ „ლოკომოტივთან“, უახლოეს კონკურენტებთან — „გურია“, „სამგურალი“, „სიონი“, „ვიტ ჯორჯია“, რომლებიც უბრძოლველ არაფერს დათმობენ, კიდევ ორი საპასუხისმგებლო ტრადიციულად უხერხულ მეტოქეებთან — „კოლხეთი“ და „მერანი“.

არაფერს ვამბობთ რვა გასვლით შეხვედრაზე, რომლებიც, ალბათ, ავტობუსში ჩასხდომამდე იქნება წაგებული.

ნანავას ვინძლო ისევ ელიან ზუგდიდელები, მაგრამ ნათქვამია, ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო.

მამუკა კვანტალიანი

ოდიშის შედეგები

1	იბერია	0:1	შინ
2	ლოკომოტივი	0:3	სტუმრად
3	გურია	2:1	სტუმრად
4	დილა	2:1	შინ
5	სამგურალი	0:1	სტუმრად
6	დინამო	0:4	შინ
7	მერანი	1:0	სტუმრად
8	გორდა	1:0	შინ
9	სიონი	0:1	სტუმრად
10	თსუ	1:1	შინ
11	ტორპედო	1:3	შინ
12	კოლხეთი	1:5	სტუმრად
13	არსენალი	1:2	შინ
14	ბათუმი	2:1	შინ
15	ვიტ ჯორჯია	0:1	სტუმრად

	თ	გ	ყ	წ
მამუკა ნაყოფია	15	-25	3	0
მიხელ კპარიძე	14	0	4	0
მანუჩარ კუტალია	14	1	1	0
თემურ ლურჯია	13	1	4	0
გრიგოლ თოლორავა	12	0	0	0
პაატა ლურსმანაშვილი	12	0	1	0
ჯუმბერ მარკოზია	12	1	0	0
კობა ტაბაღუა	12	0	1	0
ზვიად ენდელაძე	11	6	0	0
ლევან თოლორდავა	10	2	1	0
ბადრი ტყემალაძე	10	0	2	0
ირაკლი ბარქაია	9	0	4	1
კობა კვაკვაკირი	9	1	1	0
ლუხუმ ვაბიშვილი	9	0	1	0
დავით ოსავა	8	0	0	0
გიორგი ჩადუნელი	6	0	3	0
ლევან ანჯაფარიძე	4	0	0	0
დავით კაკულია	4	0	0	0
აკობია	3	0	0	0
ზაზა აფაქიძე	2	0	1	0
მეგობარია	2	0	0	0
ვლადიმერ ჯოჯუა	2	0	0	0
ჯაბა ვაზგანავა	1	0	0	0
მეიდანია	1	0	0	0
სერგიან ჩიქობავა	1	0	0	0
გიორგი ჭურღულია	1	0	1	0
გია ჯურხანძე	1	0	0	0

თ-თამაში; გ-გოლი;
ყ-ყვითელი, წ-წითელი ბარათი





15 ტური

დინამო	15	12	3	0	50:8	39
ტორპედო	15	11	2	2	42:14	35
კოლხეთი	15	8	3	4	34:25	27
ლოკომოტივი	15	6	9	0	18:6	27
ბათუმი	15	6	6	3	23:14	24
დილა	15	6	4	5	21:21	22
იბერია	15	5	3	7	26:31	18
არსენალი	15	4	6	5	19:25	18
მერანი	15	3	8	4	13:16	17
ოდიში	15	5	1	9	12:25	16
გორდა	15	3	7	5	12:18	16
სიონი	15	4	3	8	15:32	15
ვიტ ჯორჯია	15	5	2	8	15:17	14
სამგურალი	15	4	2	9	13:31	14
თსუ	15	3	4	8	14:22	13
გურია	15	3	1	11	17:39	10

„ვიტ ჯორჯიას“ დაკლებული აქვს 3 ქულა

ქაქუცა აქაც ქაქუცი

ოდიში: ვეძებ, ვეძებ, ვეძებ...
დინამო: იმას შენ კი არა, ინტერპოლიც ეძებს.
ოდიში: ნანავა აღარ მიხსენო, ახალ სპონსორს ვეძებ...
დინამო: მინი-ფეხბურთზე მართლა მოდიხარ?
ოდიში: 28 იანვარს გამოვალ სახლიდან.
დინამო: რატომ ასე ადრიანად?
ოდიში: შენ რა გიჭირს. ნოემბერში ავარის მოსახვევში რომ ჩამიქროლე ავტობუსით, ჩემს მძღოლს კინაღამ სურდო შეეყარა.
დინამო: შენც ადექი და მატარებლით წამოდი.
ოდიში: ვიყავი სადგურზე და ყველა ვაგონს მახარაძე აწერია.
დინამო: მაშინ სენაკიდან გადმოფრინდი.
ოდიში: გადმოფრინდი კაია, რომელი იელოველი მნახე.
დინამო: გეშინია?
ოდიში: ფრენის ბერხკამპს ეშინია. ვერ გაიგე, ფარა არა მაქვს, ფარა.
დინამო: აბა, გაიფიცე ქუთაისელივით და...
ოდიში: სად გინახავს შენ ზუგდიდელი კალათბურთელი?
ტორპედო: ნუ მრევთ პოლიტიკაში.
ოდიში: შენ არ იყავი, საღორიაზე თეთრი დროშა რომ გამოფინე?
ტორპედო: პროვოკაცია იყო. საგაფიცავო კომიტეტი თბილისიდან იმართებოდა.
ოდიში: მერე?
ტორპედო: წავიდა ის კვარტეტი და მეც გამახსენდა, რომ კაცი უნდა ეყოს ჯამაგირს.
ოდიში: ეგ ჩემს ბიძაჯილმა თქვა მარა...
ტორპედო: რა მარა?
ოდიში: ახლანდელ დროში ვინც მასე იცხოვრა, კაცობა დაკარგა სწორედ.
ტორპედო: რას გულისხმობ.
ოდიში: ამასწინათ თბილისში მეტროში ჩავედი და კინაღამ გავგიჟდი.
ტორპედო: რა მოხდა ასეთი?
ოდიში: რუსთაველი ჯოხით და გურული თვალახვეული არ შემოვიდნენ ვაგონში?!..
ტორპედო: არ მითხრა ახლა...
ოდიში: მასე იყო სწორედ. დეიდებს და ბიძიებს მიმართეს ხმამაღლა.
გურია: რას ბოდავს აი, ყაზილარი. ახალ წელს ვულოცავდით ხალხს.
ოდიში: რომელი თოვლის ბაბუა და ფიფქია თქვენ მყავდით...
გორდა: შენ არ იყავი, მსაჯებს ფულს რომ არ უხდიდი.
ოდიში: მაგათთვის თავის დროზე იმდენი მაქვს მიცემული, ორი წელი კიდევ უფასოდ უნდა მომემსახურონ.
გორდა: ვეტყვი, იცოდე, მილჩენკოს.
ოდიში: თუ გინდა ბლატერს უთხარი.
გორდა: ევროპას არ გაღირსებენ.
ოდიში: ევროპას კი არა, ტაილანდს აღარ ვუნდივართ.
გორდა: მაგ ტურნირმა თავის საქმე მაინც გააკეთა.
ოდიში: როგორ?
გორდა: შემადგენლობა დასახელებული არ იყო და ნახე რა ჭა ქეცაია?
ოდიში: რა ეშმაკია გულიტი.
გორდა: ეშმაკი გულიტი კი არა, გუცაევია, ფედერაციას შეეკრა და...
ოდიში: რავა არ გვიწვევდნენ ტაილანდში თუ?
გორდა: ეს მიწვევა ჩვენი ფეხბურთელების ტრანსფერებსა ჰგავს. ვერ გაიგე? მთავარია ინტრიგა.
ოდიში: მართლა რომ წასულიყვნენ, რას იტყოდი მაშინ.
გორდა: არ იცი „ადიდასმა“ რომ გვიგანა? შიშვლები ხომ არ წავიდოდნენ, დასჭამდათ აზიური კოლოები...
ოდიში: ალდაგმა ხომ დააზღვია.
გორდა: კოლოებისგან თავდაცვა არ წერია იმ კონტრაქტში.
ოდიში: ესე იგი ბლეფი იყო.
გორდა: ვერ ნახე, როგორ დაწერეს ტაი-ლანდიო.
ოდიში: მითხარი, თუ ძმა ხარ, დინოზავრები წავიდნენ სპორტის სასახლიდან?
გორდა: აა, მინი-ფეხბურთი გაგახსენდა.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ «ᲝᲓᲘᲨᲘ». X ᲐᲓᲒᲘᲚᲘ

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲔᲚᲘᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ დილით ზუგდიდს ჩასულს სტადიონის შესასვლელთან ცნობილ „ბირჟაზე“ გულშემატკივართა ერთი ჯგუფი დამიხვდა. ნანავას ლანძღვას მოჰყვნენ, მაგრამ არც სხვა დავიწყნიათ. კარგი, ბატონო, პრეზიდენტმა გვიღალატა, გუნდი უკიდურეს დღეში დაგვიტოვა, მაგრამ განა ნანავაზე წყდება ზუგდიდური ფეხბურთიო. სიმართლე დაიწეროსო. ნანავას „ოდიში“ საკუთარი დუქანი ჰგონია, როცა უნდა გააღებს, როცა უნდა დაკეტავს. რატომ ეგუებიან ამ ამბავს. როდემდე? ლტოლვილებით სავსე, ფრონტისპირა ქალაქს ერთი ფეხბურთიღა დარჩენია სახალისოდ და იმასაც ართმევენ. ამას ვერ მოვითმენთ. ზუგდიდის მერიას ვთხოვთ პასუხს. თუმცა, რა პასუხი უნდა მოვთხოვოთ. მერის მოადგილე, ვინც ქალაქში სპორტს კურირებს, თამაშებს ხომ არ ესწრება, ფეხბურთის გაგონებაც არ სურს. არადა, ზუგდიდში მოიძებნება ხალხი, ვისაც მართლა შესტკივა გული ფეხბურთზე, საქმის კეთებაც შეუძლია. ერთსულოვნება იყოს და, ყველაფერს მოევლება.

ოდიშართა ქომაგებმა გუნდის მთავარ მწვრთნელ სოსო ჭედიაზეც თქვეს. მადლობა ღმერთს, ჩვენი კაცი, ნაღდი ზუგდიდელია, თორემ მის ალგილზე სხვა ვერ გაძლებდაო.

ძნელია არ დაეთანხმო ამ მოსაზრებას. ჩვენი პირველჯგუფელი კლუბების მწვრთნელთაგან ყველაზე ახალგაზრდამ, ჭედიამ, მართლაც რომ უმძიმეს ჰერიოდში ჩაიბარა „ოდიში“. ღრმა ფინანსურ კრიზისში მყოფ, უკაცრავად და, უპატრონო გუნდში, ორი სასტარტო მარცხის შემდეგ მივიდა.

— ბატონო სოსო, თქვენთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რა ყულვშიც ჰყოფდით თავს. აგვიხსენით, როგორ დათანხმდით მწვრთნელობაზე?

— გულახდილად გეტყვით. „ოდიშის“ პირველ თამაშს „იბერიასთან“ ტრიბუნიდან ვადევნებდი თვალს. საცოდაობა იყო. თამაში თამაშს არ ჰგავდა. ჩვენებმა პირველი კუთხური ბოლო წუთზე ჩაწოდეს. გუნდი აშკარად მოუმზადებელი ჩანდა. ამას მეორე მარცხიც მოჰყვა. მაშინ იყო, ჩემთან ნანავას წარმომადგენელი თემურ ლაგვილავა მოვიდა და გუნდთან მუშაობა შემომთავაზა, თანაც დამპირდა, ცოტა ხანში კლუბს ფინანსები გაუჩნდება და საქმესაც მივხედავთო. მოკლედ, დავთანხმდი. გავიდა სამი დღე და ლაგვილავას კვალიც გაჰქრა, მას შემდეგ ეს კაცი აღარ მინახავს. იმედიც, თითქმის, გადავწურე. მაგრამ აქ უკვე მერიიდან შემომითვალეს, მხარში ამოგიდგებითო. ადრეულ წლებში ზუგდიდში ფეხბურთს ყურადღება არ აკლდა, გუნდზე მთელი ქალაქი ზრუნავდა და, მეც ვიფიქრე, ახლაც ასე იქნებოდა. დახმარების დიდი იმედი მქონდა. ბიჭები შევკრიბე, მდგომარეობა ავუხსენი, ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება-მეთქი და ისინიც ამყვნენ. გულიანად დაიწყეს ვარჯიში. ეს გუნდის თამაშსაც უმალ დაეტყო. ლანჩხუთში მოვიგეთ, შინ „დილა“ დავამარცხეთ. მაგრამ თვეც გავიდა და ფეხბურთელებმა თავისი მოითხოვეს. ხელფასი, პრემიები, საკონტრაქტო თანხები მაქვს მზედელობაში. ფული კი არ გამოჩნდა. ფეხბურთელი ვიყავი და ბიჭების მესმოდა, შიშველ ენთუზიაზმზე დიდხანს ვერ ვიქნებოდით. ხელფასები და პრემიები კი არა, კვება და თამაშებზე გამგზავრება გვიჭირდა. ქალაქის მერიიდან დახმარება საერთოდ არ გვქონდა-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ ეს დახმარება მინიმალურადაც არ გვაკმაყოფილებდა.

— ნისიად თამაში, აბა, ვის აწყობს. და მაინც, მგონი მოწვეული ფეხბურთელები უფრო ჰირვეულობდნენ.

— იყო რამდენიმე შემთხვევა, მოწვეულებმა, და არა მარტო მათ, თამაშზე უარი განაცხადეს. ასეთ საქციელს არ ვამართლებ, თუმცა, ვიმეორებ, შიშველ ენთუზიაზმზე ბევრი ვერ გაძლებს, ფეხბურთელების უკან ოჯახებია და ამის უგულებელყოფა არ იქნება. რა დასამალია, სხვა საშველი რომ არ იყო, ჩამოსულებს, 250-250 დოლარი საკუთარი ჯიბიდან დავურიგე.

— თქვენი მესმის, ფეხბურთელს რომ მოთხოვო, პირობები უნდა შეუქმნა...

— რა პირობებზეა საუბარი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბუცი რომ ბუცია, ნახევარ გუნდს ისიც არ ჰქონდა. ზოგიერთი კედებით ვარჯიშობდა.

— ასეთ ვითარებაშიც კი, „ოდიშს“ პირველ წრეში მეტი თუ შეეძლო?

— ვფიქრობ, რომ შეეძლო. „არსენალთან“ დიდი უპირატესობა გვქონდა, მთელი თამაში ვუტევდით, მაგრამ წავაგეთ. თსუ-სთან სამ ქულას ვგეგმავდით, ერთი ვიკმარეთ. ეს თამაშიც უნდა მოგვეგო. პირველი წრე 21 ქულით მაინც უნდა დაგვემთავრებინა.

— „ბათუმთან“, ფაქტობრივად, მეორე შემადგენლობით ითამაშეთ და გაიმარჯვეთ...

სოსო ჭედია

— ამ თამაშის წინ ბიჭებს ვუთხარი, შანსი მოგეცათ და თქვენ იცით მეთქი, თანაც, ეტყობოდა, სტუმრებმა, ჩვენი ძირითადის ხალხი რომ ვერ დაინახეს მინდორზე, არხეინად იგრძნეს თავი და დაისაჯნენ. ჩვენმა ბიჭებმა ამ თამაშში 100 პრცენტით დადეს თავი, „ბათუმისა“ კი რა მოგახსენოთ.

— გამოდის, რომ „ოდიშს“ ადგილობრივი კადრებითაც შესწევს ბრძოლის უნარი?

— რა თქმა უნდა. პერსპექტიული ბიჭი ბევრი გვყავს. ცოტა გამოცდილებას შეიძენენ და, ნახავთ, ტოლს არავის დაუდებენ. მთავარია ახალგაზრდებს თამაშის სტიმული ჰქონდეთ, თუნდაც მინიმალური.

— გაურკვეველ მდგომარეობაში კი ხართ, მაგრამ, ვიცით, დროს არ ჰკარგავთ, სამეორწრეოდ მზადებაც დაგიწყიათ.

— 16 იანვარს შევიკრიბეთ, თუ ამას შეკრება ჰქვია. გუნდიდან ცხრა ფეხბურთელი წავიდა — ენდელაძე, ჩადუნელი, ტყემალაძე, ლურსმანაშვილი, ბარქაია, თოლორდავა, ანჯაფარიძე, კიპაროიძე, ჯაბუა. ამათი დამაგრება ჩვენს ძალებს აღემატება. ისევ ადგილობრივ ბიჭებს ვეძებთ. განმუხურის გუნდიდან გუგუჩია, ვახანია, ასლანიშვილი ვარჯიშობენ. „ოდიში-2“-დან ავიყვანეთ მებონია, გოროზია, გაბისონია, აკობია. ზოგიერთ მათგანს მთავარ გუნდშიც აქვს ნათამაშევი პირველ წრეში. რუსეთიდან ჩამოსული აფაქიძეც დაგვემატება. მაგრამ ეს ყველაფერი მაშინ მოხდება, თუ გუნდმა საერთოდ იარსება, ვინაიდან პრობლემები უამრავია, ხოლო მათი მოგვარება ჯერ-ჯერობით ეჭვქვეშაა. დაუფარავად ვამბობ, თუ „ოდიშს“ სახსრები არ გაუჩნდა, ადვილი შესაძლებელია, გუნდი ჩემპიონატს გამოეთიშოს. და მაშინ, გვიანღა იქნება თითზე კბენანი. იქნება დახმარება — ჩვენ ჩვენსას ვეცდებით, არადა...

— არც ახლა იძლევიან იმედს?

— იმედი გვაქვს. ამ კვირაში ზუგდიდის მერი ბატონი ლერი ჭითანავა აპირებს ჩვენთან შეხვედრას. ალბათ, კონკრეტული საუბარი გვექნება. ნანავას რომ ველოდოთ...

— ორიოდ სიტყვით ეროვნულ ჩემპიონატზე.

— ძალიან დაბალი დონეა. ჩვენისა არ იყოს, სხვა გუნდებსაც არანაკლებად აწუხებს იგივე პრობლემები და რომელ ზრდაზეა საუბარი. პირველ და, თუ გნებავთ, მეორე გათამაშებასთან, სადაც თავად მითამაშია, შედარება არ არის. თუ ასე გაგრძელდა, საბოლოოდ დავკნინდებით.

— ამ ფონზე ფეხბურთელებიდან ვის გამოარჩევდით?

— მე მგონი ყველაზე ძლიერი დათო ჯანაშიაა. მისი დარი მოთამაშე პირველ წრეში არავინ იყო. ჯანაშიას გუნდიც, „ტორპედო“, თუ ფინანსური გართულებები აღარ ექნება, ჩემპიონობის ყველაზე რეალურ კანდიდატად მიმაჩნია. ქუთაისელებს რომ თავდასხმა ჰყავთ, სხვა გუნდებში არ მეგულება. ძალიან მიკვირს, რატომ არ ეძახიან ამ ბიჭებს ნაკრებში. ჯანაშიასთან ერთად იონანიძესაც. ამასაც მიეცეს შანსი. ისე ხომ არ არის, ერთი გვარი დავიმახსოვროთ და იმას ჩავაჯინდეთ.

— ესე იგი „ოდიშის“ გეგმებზე ჯერ-ჯერობით ვერაფერს ვამბობთ?

— ვერაფერს. ცოტა უნდა მოვიცადოთ. ჰო, ერთია. თბილისში მინი-ფეხბურთის ტურნირზე, ალბათ, ჩავალთ, რადგანაც ძირითადად ფედერაცია იღებს ხარჯებს.

— ფედერაცია ახსენეთ. „ოდიშს“ მისი ვალი ჰქონია?..

— 5900 ლარი გვმართებს ფედერაციის. პირველ წრეში მსაჯებს ვერ ვუხდიდით გასამრჯელოს.

ᲘᲣᲖᲐ ᲙᲐᲪᲘᲢᲐᲫᲔ

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲗᲝᲚᲝᲠᲓᲐᲕᲐ:

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲛᲝᲛᲔᲜᲐᲢᲠᲐ

პირველ წრეში ზუგდიდის „ოდიშმა“ მხოლოდ თორმეტჯერ შეძლო შეერხია მოწინააღმდეგეთა კარის ბადე. თხუთმეტ მატჩში გატანალი თორმეტი გოლი თავდამსხმელთა უსუსურ თამაშზე მეტყველებს, მაგრამ თუ „ოდიშის“ ფინანსურ მდგომარეობას და კლუბში არსებულ პირობებს ახლოს გაეცნობით, იტყვით, კიდევ ბევრი მოუხერხებიათო.

გუნდის ბომბარდირი ვეტერანი ზვიად ენდელაძეა ექვსი გატანილი გოლით. მისმა მეწყვილემ ლევან თოლორდავამ მხოლოდ ორის გატანაღა მოახერხა, მაგრამ „ოდიშისათვის“ უფრო ნაყოფიერად იღვაწა და, რასაკვირველია, პირველობაც მას ერგო.

ოჩამჩირეში დაბადებულ-გაზრდილი ფეხბურთელი, მართალია, პირველ წრეში ზუგდიდური კლუბისთვის იღწვოდა, მაგრამ მეორე წრეს რომელ გუნდში შეხვდება, ძნელი სათქმელია. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე თოლორდავა თბილისურ „მერანში“ ემზადება. „ოდიშსა“ და პირველ წრეს კი სინანულით იხსენებს...

— შეგვეძლო, უკეთ გვეთამაშა. ყველა გზას მივმართეთ, ყველაფერი ვიღონეთ, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო. სოსო ჭედიასთან ერთად მაქსიმუმს მივაღწიეთ. ერთი ხანობა აღმავლობასაც განვიცდიდით, მაგრამ კლუბის ფინანსურ მდგომარეობას უკეთესობა არ ეტყობოდა. ცარიელ ენთუზიაზმზე ბურთის გორებას კი რა შედეგის მოტანა შეუძლია, ყველამ იცის.

— მიუხედავად გაჭირვებისა, გუნდი თამაშობდა და ვარჯიშსაც ახერხებდა.

— ყველაფერს მწვრთნელის ხათრით ვაკეთებდით. რომ არა სოსო ჭედია, არც კი ვიცი, რა იქნებოდა. კი ვთამაშობდით, მაგრამ ნახევარ დღეს და მთელ ღამეს ავტობუსში რომ გაატარებ და მერე მინდორზე გახვალ, მაგას თამაში კი არა, უფრო ცოდვილობა ჰქვია.

— პირველ წრეში შენი თამაშით თუ ხარ კმაყოფილი?

— თავდამსხმელი ათ მატჩში მხოლოდ ორ გოლს რომ გაიტან, კმაყოფილი როგორ იქნები. ჩემი შესაძლებლობების ნახევარიც ვერ გამოვავლინე. რა თქმა უნდა, ყველაფრის მიზეზს საკუთარ თავში ვეძებ, მაგრამ თავდამსხმელს ხელი გუნდმაც უნდა შეუწყოს. გუნდი კი სულს ღაფავდა.

— „ოდიშიდან“ საბოლოოდ წამოხვედი?

— „ოდიში“ მართლა მენანება, მაგრამ როგორც ვიცი, იქ უკეთესობისკენ არაფერი შეცვლილა. თავიდან ყველაფრის განმეორება კი არ შემიძლია. მე ფეხბურთის თამაში მომენატრა, ნორმალურ პირობებში ბურთის გორება.

— საქართველოში ნორმალური პირობები ძნელი საპოვნია.

— პირობებში სისტემატურ ვარჯიშს, ცხელ წყალს და ხელფასპრემიას ვგულისხმობ. ნისიაზე თამაშს ეს აშკარად მირჩევნია. ჩვენში უფრო მეტი კიდევ კარგა ხანს რომ არ იქნება, კი ვიცი.

— პირველი წრიდან რომელი მატჩები დაგამახსოვრდა?

— „ბათუმთან“ ვითამაშეთ ძლიერად. თამაშის შემდეგაც არ გვჯერდა, რომ მოვიგეთ. მეგონა, სასწაული მოვახდინეთ. „ტორპედოსთანაც“ არაუშავდა ჩვენს გარჯას, მაგარმ ქუთაისელებმა აშკარად დაგვჯაბნეს, მათ ძლიერი გუნდი ჰყავთ.

— შენი აზრით, საპრიზო ადგილები როგორ განაწილდება?

— „დინამო“, „ტორპედო“ და „ლოკომოტივი“. მიუხედავად მორიგი ცვლილებებისა და გაახალგაზრდავებისა, „დინამო“ მაინც „დინამოა“ და ვფიქრობ, პირველობას ვერავინ შეეცილება. ასევე განაღდებული აქვთ ვერცხლის მედლები ქუთაისელებს, ხოლო „ლოკომოტივი“ მეორე წრეში უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე პირველში იყო.

— კი მაგრამ, „ბათუმი“ და „კოლხეთი“?

— „ბათუმი“ თასისთვის იბრძოლებს ბოლომდე. „კოლხეთი“ კი მეტად დასუსტდა, ფეხბურთელთა უმეტესობაც გაექცა.

— როგორც ფეხბურთელი ჯერაც ოჩამჩირის „ამირანს“ ეკუთვნი?

— კი, ასეა. სადაც მითამაშია, ყველგან განათხოვრებით ვყოფილვარ. ვისაც ჩემი გადაბირება სურს, ჯერ „ამირანთან“ უნდა გაარკვიოს ურთიერთობა.

— თოლორდავას უცხოეთში უთამაშია?

— ჩინეთშიც მიმოგზაურია და პოლონეთშიც მიბურთავია. კრაკოვის „პეტნიკში“ ვირიცხებოდი. მერე ვიზის ვადა ამოიწურა და „ამირანიდან“ ნათხოვრობისაც. „ოდიშის“ მაშინდელი პრეზიდენტი ვახტანგ ნანავაც დაიკარგა, მას უნდა მოეგვარებინა ყოველივე და ისღა დამრჩენოდა, უკან დაბრუნებულიყავი.

— ვინც ერთხელ უცხოეთს გემო გაუსინჯა, მერე აქეთ არც იყურება. შენ არ აპირებ მიბრუნებას?

— ჩემპიონატს აქ ჩავამთავრებ, მერე კი ვნახოთ, თუ „პატრონი“ გამოჩნდა, წავალ.

ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲥᲕᲘᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ბექემი დაშავდა, დიდება ფერგიუსონს!

„პიტოდრიზე“ ალექს ფერგიუსონმა ვარსკვლავებით მოჭედილი „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩაიყვანა და თავის ყოფილ გუნდთან, „აბერდინთან“ პენალტებით წააგო, მაგრამ საწუხარი სხვა რამ აქვს: დევიდ ბექემი დაშავდა.

შეხვედრა, რომლის ძირითადი დრო 1:1 დასრულდა, ხოლო თერთმეტმეტრიანი დარტყმებით 7:6 შოტლანდიელებმა იმარჯვეს, „აბერდინის“ ღირსეული და ერთ-ერთი მთავარი ფიგურის, კლუბთან 44 წლიანი ერთგული თანამშრომლობით დაკავშირებული ტედი სკოტის საპატივცემულო გახლდათ.

51-ე წუთზე ანგარიში მანჩესტერელმა რონი იონსენმა გახსნა, მაგრამ „აბერდინმა“ მშობლიური და პირთამდე სავსე ტრიბუნების მხარდაჭერა შეიგრძნო და მრისხანე მოწინააღმდეგეს არ შეეპუა: 65-ე წუთზე მაიკლ ჰერტის პასით მიკი ნიუველმა გაქვითა.

თამაშის ბოლოს გამარჯვებულის გამოსავლენად მხარეებმა ერთმანეთს პენალტები დაურტყეს. შედეგიანად შესრულებული ცამეტი თერთმეტმეტრიანის შემდეგ „იუნაიტედის“ ყმაწვილკაცმა, ჯონ კერტისმა „აბერდინის“ მეკარეს, დერეკ სტილის ვერ აჯობა.

მაგრამ, როგორც თავში მოგახსენეთ, ფერგიუსონის მთავარი განცდა წაგებასთან არ გახლდათ დაკავშირებული. მას გული მატჩის 64-ე წუთმა დასწყვიტა, როდესაც „იუნაიტედის“ ერთ-ერთ უმთავრეს ფეხბურთელს, დევიდ ბექემს საზარდულმა უმტყუნა და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ კვირას, ფეხბურთის ასოციაციის თასის მეოთხე რაუნდში, „ოლდ ტრეფორდზე“, „ლივერპულის“ წინააღმდეგ ვერ ითამაშებს.

თუმცა, ადრე თუ გვიან, ბექემის საზარდულსაც მოევლება და ფერგიუსონიც სიამაყით გაიხსენებს, რომ ინგლისური ფეხბურთის უტიტულოვანესმა კლუბმა, „მანჩესტერ იუნაიტედმა“, მისი მოღვაწეობის ღირსეულად აღნიშვნა განიზრახა და საამისოდ, 6 აგვისტოს მისადმი მიძღვნილი შეხვედრა დანიშნა.



ალექს ფერგიუსონი



დევიდ ბექემი აბერდინში დაშავდა

სარგებელის არქივიდან

შეხვედრა, ბუნებრივია, ისტორიით უმდიდრეს „ოლდ ტრეფორდზე“ გაიმართება და საპატიო სტუმრად ერიკ კანტონას მიიღებს. ლეგენდარული ფრანგი ფერგიუსონის პატივსაცემად თამაშს დათანხმდა.

წინასწარი ანგარიშით 6 აგვისტოს დიდი შოტლანდიელი მწვრთნელის სახელზე 3 მილიონი გირვანქა შეგროვდება და ამ თანხის უმეტესი ნაწილი იმ სფეროებს მოხმარდება, რომელსაც ფერგიუსონი შეძლებისდაგვარად სპონსორობას უწევს.

შეგახსენებთ, რომ ალექს ფერგიუსონი 12 წელიწადია, რაც „მანჩესტერ იუნაიტედში“ მუშაობს და ამ ხნის განმავლობაში გუნდის ტიტულთა კოლექცია ოთხი ინგლისური ოქროთი გაამდიდრა.

ფერგიუსონი სხვასთან ერთად სელექციონერის ნიჭითაც არის დაჯილდოებული. „იუნაიტედში“ გატარებული 12 წლის მანძილზე მან „ოლდ ტრეფორდზე“ ბევრი ისეთი ფეხბურთელი მიიყვანა, მერე დიდი სახელი რომ დაიგდო. დღეს მას ახალგაზრდა ფეხბურთელებთან მუშაობის ახალი გეგმა აქვს შემუშავებული და მის განსახორციელებლად შვედურ „გიოტებორგთან“ აწარმოებს მოლაპარაკებებს. მოლაპარაკებათა მიზანი ის გახლავთ, რომ „იუნაიტედის“ ყმაწვილკაცები შვედეთში გაგზავნოს სათამაშოდ და გამოცდილების შესაძენად. ასეთივე მოლაპარაკებანი „გიოტებორგამდე“ მან ბელგიურ „ანტვერპენთან“ გამართა და წარმატებასაც მიაღწია.

კაკუნა კედია

ინგლისის პირველ დივიზიონში მოასპარეზე „პორტ ვეილმა“ 15-წლიანი თანამშრომლობის შემდეგ მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან ჯონ რაჯი გაათავისუფლა, აცხადებს რადიო BBC. ამის მიზეზი გუნდის მეტად უსახური თამაში გახლავთ — შაბათს, ბოლო ტურში, „პორტ ვეილმა“ შინ 0:1 წააგო „სვინდონთან“ და გათამაშების ცხრილში ბოლოსწინა ადგილზე აღმოჩნდა. რაჯიზე დიდხანს ინგლისში ერთ კლუბს მხოლოდ „ქრიუს“ თავკაცი დარიო გრადი წვრთნიდა.

შოტლანდიის ეროვნული გუნდის ყოფილმა მეკარემ, გამოცდილმა ენდი გორამმა განაცხადა, რომ ნაკრების დამრიგებელ კრეიგ ბრაუნთან უთანხმოების გამო გუნდში აღარ დაბრუნდება. 34 წლის გოლკიპერი, რომელიც ადრე „რეინჯერსში“ თამაშობდა, გასულ კვირაში კი „მოზერველში“ გადავიდა, ნაკრებში შარშან ივნისის დასაწყისიდან აღარ გამოჩენილა. „გაზეთში წავიკითხე, თითქოსდა ბრაუნი ჩემს ეროვნულ გუნდში დაბრუნებას ცდილობს, არადა, ასე არ არის. ოფიციალურად ვაცხადებ — ჩემი სანაკრებო კარიერა დასრულებულია“ — აღნიშნა ვეტერანმა ფეხბურთელმა.

იუგოსლავიის ნაკრებისა და იტალიური „მილანის“ ნახევარმცველი დეიან სავიჩევიჩი საბოლოოდ გადაბარგდა თავის ყოფილ კლუბ „ცრვენა ზვეზდაში“, რომელთან ერთადაც მან 1991 წელს ჩემპიონთა თასი დაისაკუთრა. სავიჩევიჩმა დაახლოებით 9 თვის წინ მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო და შედეგად „მილანშიც“ და ნაკრებშიც ძირითად დროს სათადარიგოთა შორის ატარებდა. „ცრვენა ზვეზდას“ დირექტორ დრაგან ჯაიჩის თქმით, მას დიდი იმედი აქვს, რომ სავიჩევიჩი კლუბს წარმატებების მიღწევაში დაეხმარება და ძველ დიდებას დაუბრუნებს. დღესდღეობით „ცრვენა ზვეზდა“ იუგოსლავიის ჩემპიონატში მე-3 საფეხურზეა „პარტიზანისა“ და „ობილიჩის“ შემდეგ, ხოლო ნაკრების თავკაცმა მილან ზივადინოვიჩმა აღნიშნა, სავიჩევიჩი 10 თებერვალსაც ითამაშებს ამხანაგურ მატჩში მალტის წინააღმდეგ (მალტაში) და ბელგრადში 27 მარტს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მორიგ შეხვედრაში ხორვატებთან ძირითად შემადგენლობაში იქნებაო. ამ გამოცდილ ფეხბურთელს ნაკრებში 52-ჯერ უთამაშია.

ინგლისის ეროვნული გუნდისა და ლონდონური „ტოტენჰემ ჰოთსფურის“ შავკანიანი მცველი სოლ კემპბელი 1 მარტს სასამართლოში უნდა გამოცხადდეს. საქმე ის არის, რომ გასული წლის 3 ოქტომბერს, როდესაც „ტოტენჰემი“ პრემიერლიგის გათამაშების ერთ-ერთ ტურში „დერბი ქაუნთის“ ესტუმრა და სწორედ 24 წლის კემპბელის ერთადერთი გოლის წყალობით დაამარცხა, მატჩის შემდეგ მან სტადიონის მომსახურე პირს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ამის შესახებ დერბიშირის პოლიციის ოფიციალურ განცხადებაშია ნათქვამი.

იტალიურმა „ინტერმა“ ახალი შენაძენი გააკეთა — ბრაზილიის „კრუზეიროდან“ მარცხენა მცველი ჟილბერტო გადაიბირა და მასთან ოთხწლიან ხელშეკრულებაზე მოაწერა ხელი. 22 წლის ფეხბურთელი ორშაბათს ჩავიდა მილანში, ისადილა თანამემამულე, ამიერიდან თანაკლუბელ რონალდოსთან ერთად და მხოლოდ ამის შემდეგ გამოცხადდა „ინტერის“ ოფისში. იტალიურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჟილბერტოს შეძენა კლუბის რუმინელ თავკაც მირჩეა ლუჩესკუს სწორედ მსოფლიოს ორგზის საუკეთესო მოთამაშემ უჩია, ვინც ევროპაში გადაბარგებამდე „კრუზეიროს“ ღირსებას იცავდა. ამასთან დაკავშირებით ჟილბერტომ განაცხადა: „თუ რონალდოს უნდა, რომ მის გუნდში ითამაშო, ესე იგი ღმერთიც შენს მხარეს არის“.

ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების ყოფილი კაპიტანი ჯონ ჰარკსი კარიერას პრემიერლიგის ბოლოადგილოსან „ნოტინგემ ფორესტში“ გააგრძელებს. 31 წლის ნახევარმცველის „ვაშინგტონ დი სი იუნაიტედიდან“ გადაბირების სურვილი ნოტინგემელთა ახალდანიშნულმა მთავარმა მწვრთნელმა, სახელგანთქმულმა რონ ატკინსონმა გამოთქვა. ჰარკსს ორ მსოფლიოს ჩემპიონატზე უთამაშია — 1990 და 1994 წლებში, აშშ-ს ნაკრებში მას 90 მატჩი აქვს ჩატარებული. ამასთანავე ცნობილი გახდა, რომ ატკინსონმა „საუთჰემპტონის“ მცველ კარლტონ პალმერს დაადგა თვალი. იგი გუშინ ეწვია ნოტინგემს სამედიცინო ტესტირების გასავლელად.

ისრაელში სამთა ტურნირი დაიწყო, რომელიც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმს ეძღვნება. მასში მასპინძლები, ესტონეთის ნაკრები და ქართველთა მეტოქე ევრო 2000-ის შესარჩევ ციკლში ნორვეგიის ეროვნული გუნდი მონაწილეობენ. გუშინ ისრაელი ესტონეთს შეხვდა და გაანადგურა 7:0, მიუხედავად იმისა, რომ სამი წამყვანი ფეხბურთელი აკლდა — ვიგოს „სელტას“ ჰაიმ რევივო, „ვესტ ჰემის“ ეიალ ბერკოვიჩი და „ბრეშას“ ტალ ბანინი. დღეს ტურნირის მთავარი შეხვედრა გაიმართება — ისრაელის ნაკრები ნორვეგიელებს დაუპირისპირდება.

გელგიის ნაკრების ვეტერანმა, 37 წლის ფეხბურთელყოფილმა ფრენკი ვან დერ ელსტმა განაცხადა, რომ მალე ქვეყნის ჩემპიონატის აუტსაიდერის „ჟერმინალ ეკერენის“ მწვრთნელი გახდება. „მალე გუნდის ხელმძღვანელებს შევხვდები. კონტრაქტის პირობებს საფუძვლიანად გავეცნობი და შეთანხმებასაც ხელს მოვაწერ“ — თქვა მან. „ანტვერპენის“ ქვედა დივიზიონში დაქვეითების შემდეგ „ჟერმინალ ეკერენის“ თავკაცებმა თქვეს, რომ მალე ისინი ჰოლანდიის ჩემპიონ „აიაქსთან“ გააფორმებენ ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც ამსტერდამული კლუბის საკუთრებაში გადავლენ.

გერმანიის მოქალაქეობამიღებულმა, ისე კი სამხრეთაფრიკელმა დანდიმ განაცხადა, რომ იგი „ლივერპულთან“ „სტრასბურში“ არ გადადის. იგი „ენფილდ როუდზე“ გასულ ზაფხულს გადაბარგდა, თუმცა ინგლისის ყველაზე ტიტულოვან კლუბში ადგილი ვერ დაიმკვიდრა. დანდიმ შესაძლოა უახლოეს ხანებში დატოვოს „ლივერპული“. ფეხბურთელის თქმით, იგი ახალი გუნდის გამოძებნას ინგლისშივე შეეცდება.

იტალიელი თავდამსხმელ მარკო ნეგრი შესაძლოა მწვანე მინდორს დაუბრუნდეს, ოღონდ არა როგორც შოტლანდიური „გლაზგო რეინჯერსის“ ფეხბურთელი, არამედ ინგლისის „ვესტ ჰემის“ მოთამაშე. სქოთთა პირველობა შარშანდელი სეზონის საუკეთესო ბომბარდირმა (მან წინა სეზონში 32 გოლი გაიტანა) „გლაზგო რეინჯერსის“ ხელმძღვანელობასთან უთანხმოების გამო კლუბში თამაშზე უარი განაცხადა და ამ სეზონში მოედანზე ერთი წუთიც არ გასულა. ამ კვირაში ნეგრის ლონდონის „ვესტ ჰემის“ ხელმძღვანელები დაუკავშირდნენ და ტრანსფერზე ჩამოუგდეს სიტყვა. ნეგრომ უკვე ივარჯიშა და მომავალ კვირას, ალბათ, კიდეც გადაბარგდება მათთან.

ევრო 2000-ზე დასწრების მსურველთათვის

ბელგიისა და ჰოლანდიის საფეხბურთო ჩინოვნიკებმა შეიმუშავეს და დაამტკიცეს ევრო 2000-ის თამაშებზე დასასწრები ბილეთების განაწილების სქემა. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ პრობლემები, რომლებიც გასულ წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის დროს შეიქმნა, ევროპის პირველობას არ შეეხება.

„ეჭვი არ გვეპარება, რომ ის, რაც საფრანგეთი 98-ის დროს მოხდა, არ გამეორდება. ევრო 2000-ის ბილეთების განაწილება სრული კონტროლის ქვეშაა“ — განაცხადა „ჰოლანდია სპორტსკომ 2000“-ის წარმომადგენელმა მიზაელ ვან შიემ.

მოგეხსენებათ, საფრანგეთში თამაშებზე დასწრების მსურველი უამრავი გულშემატკივარი, თანაც მონაწილე ქვეყნებიდან, ხელცარიელნი დარჩნენ, რადგან შეჯიბრების ორგანიზატორებს ბილეთები არაპროპორციულად ჰქონდათ განაწილებული.

სქემა, რომელიც ბელგიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ლუკ ვან დენ ბოშემ და მისმა ჰოლანდიელმა კოლეგამ, ბრამ პეპერმა მოიწონეს, უკვე უეფამაც განიხილა და დამტკიცა.

„გეგმის თანახმად ბილეთების დაჯავშნა მარტის ბოლოდან ან აპრილის დასაწყისიდან იქნება შესაძლებელი“ — წერია ოფიციალურ დოკუმენტში.

ევროპის 2000 წლის პირველობა 10 ივნისს დაიწყება და 2 ივლისამდე გასტანს. მის განმავლობაში ჯამში 1,2 მილიონი ბილეთი უნდა გასაღდეს. ვან დენ ბოშეს და პეპერის გადაწყვეტილებით თითოეულ გულშემატკივარს ორი ბილეთის ყიდვის ნება მიეცემა. ვან დენ ბოშეს თქმით, ყველა ბილეთი 2000 წლის 1 იანვრამდე უნდა გაიყიდოს და უკლებლივ ყველა მყიდველი საგანგებო რეგისტრაციის წიგნში მოხვდება.

ვან შიემ თავის მხრივ დასძინა, რომ ბილეთების საერთო რაოდენობის 37 პროცენტი პირველ ჯერზე, მარტის ბოლოს ან აპრილის დასაწყისში გასაღდება. ეს ბილეთები მიეყიდება ეგრეთწოდებულ ზოგად გულშემატკივარს, ხოლო მორიგ ჯერზე გასაყიდი 32 პროცენტი იმ გუნდების ქომაგებს მისაღდება, რომლებიც ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლებას მოიპოვებენ.

„ეს 32 პროცენტი, ბუნებრივია, მაშინ გაიყიდება, როდესაც ფინალური ეტაპის კენჭისყრა ჩატარდება“ — თქვა ვან შიემ.

სქემის თანახმად თითოეული მონაწილე ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია მეორე ჯერზე გასაყიდ ბილეთებს თავად გაანაწილებს და შემდეგ ჩემპიონატის ორგანიზატორებს მიაწვდის მათი მფლობელების სახელებსა და გვარებს.

ბილეთების კიდევ ხუთი პროცენტი ეგრეთწოდებული „მასპინძლობის პაკეტისთვისაა“ გადადებული და მასში თამაშების განმავლობაში ჭამა-სმაც იქნება გათვალისწინებული. ამ ბილეთებს მოგვიანებით კომერციულ სამსახურებთან ერთად გაანაწილებენ.

თოთხმეტ პროცენტს ორგანიზატორები სხვადასხვა ჯურის სპონსორებისა და მხარდამჭერებისთვის ვარაუდობენ, რვა პროცენტი პრესა-ტელევიზიას გადაეცემა, დანარჩენს კი უეფა მიიღებს.

რაც შეეხება ბილეთების ფასს, ვან შიეს თქმით, იგი ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული. თუმცა, მისმა კოლეგამ, „ბელგია სპორტსკომ 2000“-ის შეფმა ჯორის დევინტმა დასძინა, რომ ფასები ერთობ „დემოკრატიული“ იქნება.

ევრო 2000, მოგეხსენებათ, პირველი ჩემპიონატია, რომელიც ერთობლივად ორ ქვეყანაში გაიმართება. შეხვედრები მოეწყობა ჰოლანდიაში: ამსტერდამში, არნჰეიმში, ეინდჰოვენსა და როტერდამში და ბელგიაში: ბრიუსელში, ბრიუგეში, შარლერუასა და ლიეჟში.

„ბარსელონას" მწვრთნელი ლუის ვან გაალი და მისი ახალი შენაძენი — ძმები ფრენკ და რონალდ დებურები

REUTERS ფოტოები

ტყუპებს ოცნება აუხდათ

ჰოლანდიელმა ვარსკვლავებმა, ტყუპებმა ფრენკ და რონალდ დე ბურებმა ორშაბათს „ბარსელონას" საწვრთნელ ცენტრს მიაკითხეს, ჯერ გუნდის ვარჯიშს დაესწრნენ, მერე კი კლუბს მხარდამჭერისთვის დიდი მადლობა მოახსენეს.

28 წლის დე ბურებმა დიდი წვალების შემდეგ გააფორმეს 22 მილიონ დოლარად შეფასებული კონტრაქტი კატალონიის კლუბთან და მშობლიური, „აიაქსი" საბოლოოდ გასულ პარასკევს დატოვეს.

ამსტერდამელთა კლუბის ისტორიაში დე ბურების სატრანსფერო საგა ყველაზე ხანგრძლივი გამოდგა, თუმცა ყველაფერი კარგად დასრულდა და ბარსელონას ჩასულმა ძმებმა ახალი თანაგუნდელების გაცნობის შემდეგ საჯაროდ ამოისუნთქეს, როგორც იქნა იქ ვართ, სადაც კარგა ხანია გული მიგვიწევდაო.

პრესკონფერენციაზე ჯერ ორი წუთით უფროსმა ძმამ, ფრენკმა ისაუბრა: „თავდაპირველად მინდა მადლობა ვუძღვნა „ბარსელონას" ხელმძღვანელებს, რომლებიც ხანგრძლივი მოლაპარაკებების დროს, მის ყველაზე მძიმე წუთებში, მხარში გვედგნენ. ჩვენ ძალიან ბედნიერები ვართ, აქ რომ ჩამოვედით".

რონალდმა დასძინა:

„ყოველთვის ვოცნებობდი „ბარსელონას" მსგავს კლუბში თამაშზე. მიხარია, რომ ოცნება ამიხდა".

„ბარსელონას" პრეზიდენტი ხოსე ლუის ნუნიესი:

„ბოლო 20 წელიწადში ასეთი რთული საქმე არ გაგვიჩარხავს. მოლაპარაკებებს მთელი 10 თვე მოვანდომეთ. ძალიან ძნელია დე ბურების დონის ფეხბურთელების მოძებნა. ძნელია მათსავით კარგ ადამიანებთან შეხვედრაც. ვიმედოვნებ, რომ ისინი ჩვენთან კარიერის ბოლომდე დარჩებიან".

საფრანგეთი თუ მარსელი

დღეს მარსელში, მსოფლიოს ჩემპიონი საფრანგეთის ნაკრები სეზონის პირველ მატჩს გამართავს, მისი მეტოქე მაროკოს ნაკრებია. „ლურჯების" მწვრთნელმა როჟე ლემერმა ორი ახალი ფეხბურთელი გამოიძახა: „ბორდოს" მეკარე ულრიხ რამე და „მარსელის" თავდამსხმელი ფლორიან მორისი. თუ რამესთვის ეს კარიერაში პირველი სანაკრებო შეხვედრაა, მორისს ემე ჟაკეს დროს რამდენჯერმე უკვე მოურგია ლურჯი მაისური; თუმცა, „ფლოს" „ლიონიდან" პსჟ-ში გადაბარგებას ფორმიდან და შესაბამისად ნაკრებიდან ამოვარდნაც მოჰყვა. „ახლა, რაც ეგოისტ სიმონეს დავშორდი, გაცილებით უკეთ ავთამაშდი, ნაკრებში ჩემი მიწვევაც ამის დასტურია" — სიხარულს არ მალავდა მორისი.

ფლორიან მორისი

მორისის სიხარულს დავიდ ტრეზეგეს და „იუვენტუსში" ორი დღის წინ გადასული ტიერი ანრის იმედგაცრუება მოჰყვა. ლემერმა ისინი ნაკრებს მიღმა დატოვა, მაგრამ ახალგაზრდულში გამოაძახებინა, რათა მათ თამაშს კიდევ ერთხელ დააკვირდეს. ანრი ამ წინადადებას დათანხმდა, ტრეზეგემ კი უარი განაცხადა ჩასვლაზე. მიზეზად ჩემპიონატის ბოლო ტურში „ლანსთან" თამაშისას მიღებული ტრავმა დაასახელა.

გარდა ამ ორი გუნდისა, თამაშს ჩაატარებს საფრანგეთის B ნაკრებიც, რომლის შემადგენლობაშიც ბოლო დროს საფრანგეთის ჩემპიონატში თავგამოჩენილი ფეხბურთელები მოხვდნენ — ლორან რობერი (მონპელიე), ვიკაშ დორასო (ლიონი), სილვენ ვილტორდი, ერვე ალიკარტი, იოან მიკუ (სამივე „ბორდო") და სხვა.

A ნაკრები გუშინწინ შეიკრიბა და, როჟე ლემერის თქმით, გუნდში მშვენიერი, მეგობრული ატმოსფეროა. მსოფლიოს ჩემპიონები კარგ ხასიათზე არიან, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა დამაბული კალენდარული თამაშის მერე საკმაოდ გრძელი და დამღლელი გზა გაიარა მარსელამდე. 18 გამოძახებულიდან მხოლოდ ინგლისური „არსენალის" თავდამსხსელი ნიკოლა ანეკლა არ ჩავიდა, აქაოდა, თვითმფრინავს ვერ მივუსწარიო. სამაგიეროდ, მისმა ორმა ლონდონელმა თანაგუნდელმა ემანუელ პეტიმ და პატრიკ ვიეირამ არ დააგვიანეს აეროპორტში და მარსელშიც დროზე ჩაფრინდნენ.

შეკრების დაწყებიდანვე ლემერი ჟურნალისტებმა მოიხელთეს. მთავარი კითხვა ბორდოელ ლილიან ლასლანდს ეხებოდა. საფრანგეთის ჩემპიონატის ჯერჯერობით საუკეთესო ბომბარდირმა განაცხადა, რომ თუ ნაკრების ძირითადში ადგილი გარანტირებული არ ექნებოდა, სათამაშოდ არ ჩავიდოდა. ასეთი ულტიმატუმის შემდეგ ლემერმა ლასლანდი საერთოდ აღარ გამოიძახა: „მირჩევნია, სხვა ბორდოელზე, ულრიხ რამეზე გესაუბროთ, რომელიც ყოველგვარი ულტიმატუმის გარეშე ჩამოვიდა. ის ძალიან კარგი ფეხბურთელი და ადამიანია. რაც შეეხება ლასლანდს, თუ საფრანგეთის ნაკრებს ის დასჭირდება, აუცილებლად გამოვიძახებ, მაგრამ ჯერჯერობით ცდა მოუწევს".

ვარჯიშები ლურჯებმა „ოლიმპიკის" საწვრთნელ ბაზაზე გამართეს, რათა „ველოდრომის" მინდვრის საფარი არ გაეფუჭებინათ. საეჭვო იყო ზინედინ ზიდანის თამაში, მაგრამ ექიმები ირწმუნებიან, რომ „ოქროს ბურთის" მფლობელი დღეისთვის ფორმაში იქნება და სწორედ ის წარმართავს თავისი გუნდის იერიშებს. ფრანგი ჟურნალისტების აზრით, როჟე ლემერი სასტარტო შემადგენლობაში შემდეგ ფეხბურთელებს დააყენებს: ბარტეზი, ტურამი, დესაი, ბლანი, კანდელა, პეტი, დეშამპი, პირესი, ზიდანი, დიუგარი, მორისი. ძირითადში „მარსელის" ოთხი მოთამაშეა — ბლანი, პირესი, დიუგარი, მორისი. კიდევ სამი ადრე გამოდიოდა „ოლიმპიკში" — ბარტეზი, დესაი, დეშამპი. ზინედინ ზიდანი კი მარსელში დაბადებული და გაზრდილია. ასე რომ, „ველოდრომზე" თავშეყრილმა ქომაგებმა თავისიანების გასამხნევებლად, არაა გამორიცხული, „მარსელი, მარსელი" იყვირონ, „საფრანგეთის" ნაცვლად.

ბაიოჩ თალაკვაძე

თადარიგიანი და ამბიციური

მსოფლიოს ჩემპიონი, ლონდონის „ჩელსისა" და საფრანგეთის ნაკრების მცველი მარსელ დესაი მოთამაშის კარიერის დასრულებამდე ეროვნული გუნდის შემადგენლობაში მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე გამოსვლას აპირებს. რაც შეეხება კლუბთან დაკავშირებულ გეგმებს, იგი დესაიმ „ჩელსის" ფანებს დაუფარავად გაანდო. კერძოდ უთხრა, თუ გუნდს ამ სეზონში ინგლისის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში დავეხმარე, მერე სხვაგან, ახალ შთაბეჭდილებათა საძიებლად წავალო.

„კარიერის დასრულებას 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ვაპირებ. 2002 წლის პირველობაზე თამაში ჩემთვის უდიდესი მოტივაციაა. რა თქმა უნდა, არც ევრო 2000 მავიწყდება" — განაცხადა 30 წლის ფეხბურთელმა — „ჩემი თაობა, 1967, 68, 69 წლებში დაბადებული მოთამაშეები ევროპის ჩემპიონატზე შესაფერის ასაკში იქნებიან, შემდეგ კი ბევრი რამ გაუგებარი და სათუო გახდება. თუ კაცმა ევრო 2000-ზე გაიმარჯვე, თუნდაც ფინალში გახველი ან ნახევარფინალში მაინც მოახერხე თამაში, მაშინ გექნება კარიერის გაგრძელების სურვილი და ამბიცია, ხოლო თუ ვერაფერს გახდი, მაშინ ხალხი, ახალი მწვრთნელი ან სხვა ვინმე აუცილებლად მოითხოვს შენს ფეხბურთიდან წასვლას".

სხვათაშორის, თუ დესაიმ ინგლისის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, იგი გახდება სამი ქვეყნის ოქროს მედლის მფლობელი, რადგან მარსელის „ოლიმპიკისა" და „მილანის" შემადგენლობებში ფრანგული და იტალიური ოლიმპები დაპყრობილი აქვს.

მცველი, რომელმაც გასულ ზაფხულს „ჩელსისთან" ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი ახლა ასე ამბობს:

„თუ ინგლისშიც შევძელი ჩემპიონობა, სეზონის ბოლოს შეიძლება სიურპრიზი შემოგთავაზოთ. მერე იქნებ ესპანეთს მივაშურო, თუმცა შესაძლოა საფრანგეთშიც დავბრუნდე. ოღონდ თუ ერთ მშვენიერ დღეს საფრანგეთს დავუბრუნდი ეს 2002 წლამდე მოხდება, მერე კი არავითარ შემთხვევაში".

დესაიმ თქვა, რომ ძალიან უნდა რომელიმე ყოფილი დიდი გუნდის კვლავ აღზევებაში მიიღოს მონაწილეობა და ასეთი გუნდის მაგალითად „პარი სენ ჟერმენს" ასახელებს.

2002 წლის მერე კი ფეხბურთს მხოლოდ გართობის ფუნქცია დარჩება.

მსოფლიოს ჩემპიონი მარსელ დესაი მომავალზე ფიქრობს

ბელგია

XX ტური

გენკი 3:0 ოსტენდე

1:0 ორიჯი (32), 2:0 გუდიონსონი (83), 3:0 ნსუმბუ (90)

ბრიუგე	20	13	4	3	37:20	43
გენკი	20	12	5	3	44:23	41
ლოკერენი	20	10	4	6	41:27	34
მუსკრონი	20	9	7	4	41:33	34
გენტი	20	9	7	4	35:36	34
ანდერლეხტი	19	9	5	5	36:28	32
სტანდარდი	20	10	2	8	30:22	32
ეკერენი	20	9	4	7	35:30	31
ვესტერლო	20	9	3	8	41:34	30
სტ. ტრუიდენი	19	7	6	6	26:24	27
ლიერსი	20	8	3	9	35:34	27
ალსტი	20	7	5	8	30:35	26
ჰარელბეკი	20	5	8	7	26:30	23
შარლერუა	19	4	8	7	26:27	20
ბევერენი	19	4	4	11	19:32	16
ლომელი	20	4	4	12	21:33	16
ოსტენდე	20	2	6	12	18:48	12
კორტრაიკი	20	2	5	13	27:52	11

პორტუგალია

XVIII ტური

რიუ ავე 1:1 პორტუ

0:1 ზაპოვიჩი (1), 1:1 სერჟიო ჩინა (42)

პორტუ	18	12	4	2	39:17	40
ბენფიკა	18	12	3	3	38:12	39
ბოავიშტა	18	11	5	2	30:16	38
სპორტინგი	18	9	6	3	32:16	33
ამადორა	18	8	6	4	21:18	30
უნიაუ	18	8	4	6	19:15	28
სალგეირუში	18	6	7	5	26:26	25
სეტუბალი	18	6	4	8	15:24	22
ბრაგა	18	5	6	7	26:35	21
ფარენსე	18	6	3	9	16:25	21
გიმარაეში	18	5	5	8	25:21	20
ბაირა მარი	18	4	8	6	18:20	20
ალვერკა	18	4	8	6	17:22	20
რიუ ავე	18	5	5	8	15:26	19
მარიტიმუ	18	4	6	8	19:23	18
შავეში	18	5	3	10	20:33	18
კამპომაიორენსე	18	4	3	11	19:32	15
აკადემიკა	18	3	4	11	19:33	13

პირველი, რაც ფრენკ რაიკაარდმა ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელად დანიშვნისას მოიმოქმედა, იყო ის, რომ ედგარ დავიდსი ფრენკ დე ბურის შემდეგ ქვეყნის პირველ გუნდში მეორე კაცად, ვიცე-კაპიტნად აქცია. გადაწყვეტილება, ფეხბურთელის და ჰოლანდიის ნაკრების ადრინდელი ურთიერთობების გათვალისწინებით, ალოგიკური ჩანდა.

იტალიის „იუვენტუსის“ ნახევარმცველი, მოედნის შუაგულში თავდადებული ბრძოლის გამო როტვეილერად წოდებული ედგარ დავიდსი ჰოლანდიის ნაკრებში მუდამ ქმნიდა პრობლემებს. უფრო კონკრეტულად კი მწვრთნელებთან უჭირდა ურთიერთობა. 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის დროს ჰოლანდიელთა მაშინდელმა თავკაცმა გუს ჰიდინკმა დავიდსი ნაკრებიდან გააგდო და მხოლოდ წელიწადნახევრის შემდეგ, ზედ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ შეიწყალა. ყველაფრის მიზეზი დავიდსის ჯიუტი ხასიათი და მწვრთნელთა კრიტიკა იყო. კაცმა რომ თქვას, ფეხბურთელს და ჰოლანდიური პრესის დამოკიდებულებას იდეალური არც ახლა ეთქმის.

ფრენკ რაიკაარდმა, გუს ჰიდინკის მემკვიდრემ ჰოლანდიის ნაკრებში, ფეხბურთელის და გუნდის ადრინდელი უთანხმოება არად ჩაგდო. მე მოგონებებით არ ვცხოვრობო, განაცხადა რაიკაარდმა და დავიდსი გუნდში მიიწვია. „ედგარ დავიდსი ძლიერი ფეხბურთელია. იგი ლიდერადაა დამამადებული და მჯერა, ნაკრებში ამას დაამტკიცებს“ — განაცხადა ჰოლანდიელთა ახალმა მწვრთნელმა...

ასეთია ედგარ დავიდსი ნაკრებში

სარბიელის არქივიდან

ჰოლანდიელი როტვეილერის ფიქრები

— როგორ მოხდა, რომ ნაკრების სათადარიგო კაპიტნად აგირჩიეს?

— მწვრთნელმა მთხოვა. რამდენიმე დღე ვიფიქრე, სიტუაცია ავწონ-დავწონე, რადგან წინადადება იმდენად მიუღებელი იყო ჩემთვის, რამდენადაც მისაღები. მაინტერესებდა თანაგუნდელთა აზრიც. საბედნიეროდ, ისინი ჩემი აღზევების წინააღმდეგ არ წასულან. მენდნენ. ვეცდები, იმედები გავუმართლო და ჩემი ხასიათი მთლიანად გამოვავლინო.

— თქვენ ახალ როლში გიწევთ თამაში. მომავალში პრესასთანაც მოგიწევთ მჭიდრო ურთიერთობა. ეს კი არასდროს გხიბლავდათ.

— ვალდებულება ყველამ უნდა შეასრულოს. წინააღმდეგი არც მე ვარ. უბრალოდ, არ მიყვარს, როცა არაპროფესიონალები მაწუხებენ. მხვდებიან ჟურნალისტები, მაგრამ მხვდება ჟურნალისტის სახელს ამოფარებული ხალხიც. სწორედ ისინი მაღიზიანებენ. დღეიდან ურთიერთობა მხოლოდ საქმის მცოდნე ხალხთან მექნება და არა დილეტანტებთან.

— ცოტა უკან დავიხიოთ. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებს შორის შუალედში პრესასთან ყოველგვარი კონტაქტი გაწყვიტეთ. როგორ ფიქრობთ, ეს შეცდომა იყო თუ არა?

— მჯერა, რომ ეს არ იყო შეცდომა. ყველაფერი იყო ისე, როგორც უნდა ყოფილიყო. მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ვიგრძენი, რომ ყველაფრისთვის წერტილი უნდა დამესვა. დრო იყო, წინ გადამედგა ნაბიჯი.

— მსოფლიოს ჩემპიონატზე საკმაოდ კარგი ჰოლანდია ვიხილეთ. თქვენი გუნდის შემტევი ფეხბურთი ერთგვარი მოულოდნელობაც კი იყო.

— როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატს ვიხსენებ, მუდამ კარგ ხასიათზე ვდგები. მიუხედავად იმისა, რომ ნახევარფინალში ბრაზილიასთან დასანანად დავმარცხდით, ვთვლი, რომ ჩემთვის საფრანგეთის ჩემპიონატი დიდი გამარჯვება გახლდათ. ეგეც არ იყოს, იქ სიტუაცია და ატმოსფერო იყო ისეთი, ცუდი არაფერი გაგახსენდება.

— მსოფლიოს ჩემპიონატი და ამგვარი მოვლენები მეხსიერებაში სამუდამოდ იბეჭდება. ყველაზე მეტად რა გახარებთ, როცა გასულ ზაფხულს იხსენებთ?

— ორი რამ: გოლი, რომელიც ბოლო წუთზე გავუტანე იუგოსლავიას მერვედფინალში და მეორეც — ნახევარფინალში რონალდოს ბოლო წამს გოლის შედგება არ დავანებე.

— მსოფლიოს ჩემპიონატზე თქვენ ძლიერ მოთამამშედ წარმჩნდით, თუმცა სტატისტიკა უჩვენებს, რომ ამავროულად ერთ-ერთი ყველაზე უხეშიც იყავით.

— ხანდახან სტატისტიკას თუ დავეყრდნობით, გამოვა, რომ ფეხბურთელმა თამაში საერთოდ არ იცის. ზოგს არ გააქვს გოლი, არც საგოლე პასს აწვდის, მაგრამ ამით განა რაიმე აკლდება? რაც შეეხება მე, თუ ჩემს მიერ დარღვეულ წესებს გავიხსენებთ, ვნახავთ, რომ არაპროფესიონალური და სულელური არც ერთი არ ყოფილა. ყველა დროული და საჭირო იყო.

— იტალიაში თამაშობთ. საინტერესოა, იქ როგორ გამოეხმაურნენ ჰოლანდიის თამაშს?

— მსოფლიოს ჩემპიონატამდე ვამბობდი, რომ საფრანგეთში ჰოლანდია წარმატებით ითამაშებდა. ბევრი არ მიჯერებდა. ტურნირის შემდეგ მათ მითხრეს, რომ ცდებოდნენ. ისე, მართალი გითხრათ, ახლა მსოფლიოს ჩემპიონატი ჩემთვის უკვე მოგონებაა. წინ ევროპის პირველობაა.

— მსოფლიოს ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში დაგასახელეს. რას ნიშნავს ეს თქვენთვის?

— მთლიანობაში ეს დიდი არაფერია. ვიღაცას მოეწონები და ჩაგწერს ანკეტაში, ვიღაცას არა. მერჩივნა, მსოფლიოს ჩემპიონატი მომეგო და სიმბოლურ ნაკრებში ჩემი ხსენება არ ყოფილიყო.

— თუ გრძნობთ განსხვავებას ეროვნულ გუნდსა და მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს კლუბ „იუვენტუსს“ შორის?

— სხვაობა, რა თქმა უნდა, იგრძნობა. სხვა მწვრთნელები, სხვა მოთამაშეები, სხვა ტაქტიკა...

— „იუვენტუსს“ ამ სეზონში უჭირს. რატომ?

— ზუსტად ვერ გეტყვით. იქნებ ბევრი მოთამაშე არაა მზად ასეთი დონის ჩემპიონატში სათამაშოდ. შესაძლოა გამოუცდელობაც არის. ისე, სერია-A წლეულს გაცილებით ძლიერი ლიგაა, ვიდრე, ვთქვათ, შარშან. წლეულს კლუბებმა გასაძლიერებლად ათეულობით მილიონი დოლარი დახარჯეს.

— თქვენც გიჭირთ?

— არა მგონია, მაინცდამაინც ცუდად ვთამაშობდე. ნახევარდაცვაში ისედაც შედარებით ჩრდილში ხარ. აი, თავდამსხმელობა სხვაა.

— ევროპის ჩემპიონატს ჰოლანდიის ნაკრები იმ კაცის ხელმძღვანელობით იწყებს, აქამდე სამწვრთნელო გამოცდილება რომ არ ჰქონია. ამას დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ?

— არ მეგონა, ნაკრების თავკაცი რაიკაარდი თუ გახდებოდა, მაგრამ მაინც ვულოცავ. ის ცნობილი პიროვნებაა და ჩვენ პატივს ვცემთ. ასე მგონია მისი გამოუცდელობა პრობლემებს არ შექმნის, რადგან თავისი მოსაზრებები აქვს. თან დიდ პროფესიონალებთან უმუშავია (იოჰან კრუიფი, არიგო საკი, რინუს მიხელსი, ლუის ვან გაალი). ფრენკ რაიკაარდს ყველა პირობა აქვს, რათა ძლიერი მწვრთნელი დადგეს.

— ჰოლანდია, როგორც ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი, შესარჩევ ტურნირში არ ითამაშებს. როგორ ფიქრობთ, ეს წამგებიანია?

— არა, რატომ? ჩვენ ერთი ნაბიჯით ვუსწრებთ სხვებს. ახლავე შეგვიძლია ტურნირისთვის მომზადება დავიწყოთ, გამოვცადოთ ახალი ფეხბურთელები, დავამუშავოთ ტაქტიკა...

— და გახდეთ გუნდი, რომლის დამარცხებაც გაჭირდება?

— რა თქმა უნდა. ჩვენ ყველა კრიტიკულად შეგვხედავს და მეტს მოგვთხოვს. მსოფლიოს ჩემპიონატზე კარგი თამაშის შემდეგ შინ შერცხვენა არ იქნება.

„უორლდ სოკერი“
თარგმნა ლაშა გოდუაძემ

ედგარ დავიდსი „იუვენტუსის“ ნახევარდაცვის ბურჯია

სარბიელის არქივიდან

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ინგლისის თასი. მესამე წრე. გადათამაშება

20 იანვარი			
ნოთს ქაუნთი — შეფილდ იუნაიტედი	2,8	2,9	2,3

იტალიის ჩემპიონატი. სერია A. გადადებული მატჩი

20 იანვარი			
ვენეცია — ემპოლი	2,0	2,8	3,5

ესპანეთის თასი. მერვედფინალი. პირველი მატჩები

20 იანვარი			
სელტა — დეპორტივო	1,6	3,0	5,6
სოსიედადი — ატლეტიკო	2,2	2,8	3,1
ბენიდორმი — ბარსელონა	8,0	4,4	1,25
ლევანტე — ვალენსია	7,0	3,5	1,4
ესპანიოლი — ვალიადოლიდი	1,6	2,9	6,0
ბილბაო — რასინგი	1,3	3,8	8,0
ბეტისი — მალიორკა	2,5	2,8	2,6
21 იანვარი			
რეალი — ვილიარეალი	1,15	5,6	10,0

პორტუგალიის თასი. მეოთხე ეტაპი. გადათამაშება

20 იანვარი			
ფარენსე — ამადორა	2,4	2,7	2,8

ამხანაგური მატჩი

20 იანვარი			
საფრანგეთი — მაროკო	1,3	3,8	8,0

ჰოკეი. NHL

20 იანვარი			
აილენდერსი — ფლორიდა	1,9	4,4	2,1
დალასი — ტორონტო	1,6	4,4	2,7
ანაჰაიმი — ნიუ ჯერსი	2,0	4,4	2,0
21 იანვარი			
ბოსტონი — ოტავა	1,8	4,4	2,2
რეინჯერსი — ფლორიდა	1,7	4,4	2,4
ფილადელფია — ვაშინგტონი	1,2	4,4	5,0
პიტსბურგი — აილენდერსი	1,3	4,4	4,0
დეტროიტი — კაროლინა	1,5	4,4	3,0
ჩიკაგო — მონრეალი	1,8	4,4	2,2
სენტ ლუისი — ტორონტო	2,0	4,4	2,0
ნეშვილი — ტამპა ბეი	1,3	4,4	4,0
კოლორადო — კარლაგრი	1,5	4,4	3,0
ფინიქსი — ანაჰაიმი	1,4	4,4	3,4
ლოს ანჯელესი — ნიუ ჯერსი	2,1	4,4	1,9
სან ხოსე — ედმონტონი	1,8	4,4	2,2

ჩემპიონთა თასი

ინტერი	2,5
იუვენტუსი	3,0
მანჩესტერი	3,0
ბაიერნი	5,0
რეალი	6,0
კიზერსლაუტერნი	10,0
დინამო	10,0
ოლიმპიაკოსი	50,0

თასების თასი

ლაციო	2,0
ჩელსი	2,0
მალიორკა	3,0
ლოკომოტივი	8,0
მაკაბი	15,0
ვარტექსი	50,0
ვალერენგა	50,0
პანიონისი	50,0

უეფას თასი

რომა	3,0
პარმა	3,0
მარსელი	4,0
ბორდო	5,0
სელტა	5,0
ატლეტიკო	6,0
ბოლონია	8,0
ლიონი	10,0

ინგლისი		**ჰოლანდია**	
მანჩესტერი	1,8	ფეიენორდი	1,5
ჩელსი	1,8	აიაქსი	2,2
ასტონ ვილა	4,0	ვიტესი	5,0
არსენალი	5,0	ეინდჰოვენი	6,0
ლივერპული	5,0	**ბელგია**	
ლიდსი	8,0	ბრიუგე	1,1
გერმანია		გენკი	3,5
ბაიერნი	1,01	სტენდარდი	6,0
ლევერკუზენი	8,0	ანდერლეხტი	8,0
იტალია		**პოლონეთი**	
ინტერი	1,9	ვისლა	1,1
ფიორენტინა	2,0	ლეგია	4,0
პარმა	4,0	ლეხი	8,0
მილანი	5,0	გურნიკი	8,0
ლაციო	5,0	ვიძევი	8,0
იუვენტუსი	8,0	**თურქეთი**	
რომა	8,0	გალათასარაი	1,4
ესპანეთი		ფენერბაჰჩე	2,5
ბარსელონა	2,0	ბეშიქთაში	2,5
რეალი	2,0	ტრაბზონი	5,0
მალიორკა	2,5	**შოტლანდია**	
სელტა	4,0	რეინჯერსი	1,2
ვალენსია	5,0	სელტიკი	3,0
ატლეტიკო	5,0	კილმარნოკი	6,0
საფრანგეთი		**ავსტრია**	
მარსელი	1,3	შტურმი	1,7
ბორდო	2,5	რაპიდი	2,0
		გრაცერი	4,0
		ლინცერი	8,0
პორტუგალია		**შვეიცარია**	
პორტუ	1,3	სერვეტი	1,8
ბენფიკა	2,5	გრასჰოპერი	1,8
სპორტინგი	6,0	ცურიხი	2,5
ბოავიშტა	6,0	ლოზანა	4,0

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲚᲣᲚᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲐᲪᲮᲐᲠᲔᲑᲓᲐ

ᲒᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘᲐ ᲛᲝᲒᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ ᲐᲪᲘᲠᲔᲑᲡ

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ 1998 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ, ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ „ᲡᲘᲔᲢᲚ ᲡᲣᲞᲔᲠᲡᲘᲜᲘᲚᲘᲡᲛᲐ“ ᲜᲑᲐ-Ს ᲓᲠᲐᲤᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲬᲠᲔᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲘᲡ ᲜᲐᲯᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲣᲑᲚᲘᲐᲜᲘᲡ „ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲡ“ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘᲐ ᲐᲛᲝᲘᲠᲩᲘᲐ. ᲒᲐᲕᲘᲓᲐ ᲝᲠᲘᲝᲓ ᲓᲦᲔ ᲓᲐ ᲜᲑᲐ-ᲨᲘ ᲚᲝᲙᲐᲣᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲓᲐ, ᲠᲐᲪ ᲘᲛᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲕᲔᲠ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲙᲚᲣᲑᲗᲐᲜ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘᲡ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲓᲐ. ᲚᲝᲙᲐᲣᲢᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐᲛ ᲩᲘᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲡᲢᲐᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ, ᲛᲔᲠᲔ ᲙᲘ ᲚᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲔᲕᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ. ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ, 1999 ᲬᲚᲘᲡ 6 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ ᲚᲝᲙᲐᲣᲢᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ.

ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘᲐ ᲫᲕᲔᲚ ᲙᲚᲣᲑᲨᲘ, „ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲨᲘ“ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲓᲐ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ. ᲚᲝᲙᲐᲣᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ „ᲡᲘᲔᲢᲚᲛᲐ“ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲜ ᲘᲮᲛᲝ ᲠᲩᲔᲣᲚᲘ. „ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐ“ ᲐᲛᲐᲗ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲐᲠ ᲩᲐᲠᲔᲣᲚᲐ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲠᲐᲛ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲐ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲪᲕᲚᲝᲓ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲛᲘᲮᲐᲓᲝᲜᲝ.

5 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ. ᲠᲐᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲓᲐ ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲚᲐᲛᲓᲔ ᲝᲙᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲯᲘᲛ, ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲘᲧᲝ.

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲚᲘᲣᲑᲚᲐᲜᲨᲘ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘᲐᲡ ᲓᲔᲓᲐᲡ, ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜ ᲝᲚᲒᲐᲡ ᲨᲔᲕᲔᲮᲛᲘᲐᲜᲔᲗ. ᲛᲐᲜ ᲒᲕᲘᲗᲮᲠᲐ, „ᲡᲘᲔᲢᲚᲛᲐ“ 250 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲓᲐ „ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲡ“ ᲓᲐ ᲓᲔᲓᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲐᲮᲚᲐᲕᲔ ᲓᲐᲗᲛᲝᲡ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘᲐ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲛᲐ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲝᲠ-ᲛᲔᲡᲘᲐᲓᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲐ, ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ 200 ᲐᲗᲐᲡ ᲓᲝᲚᲐᲠᲖᲔ ᲛᲔᲢᲡ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, „ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲛ“, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲘᲘᲦᲝᲡ, ᲗᲣᲙᲘ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘᲐ ᲐᲛ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲘᲥ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ. ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲘᲒᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲐᲒᲔᲜᲢᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ. ᲒᲣᲨᲘᲜ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ ᲘᲜᲢᲘᲠᲔᲜᲢᲘᲗᲘᲗ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛ „ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘᲐ ᲨᲔᲣᲔᲠᲗᲓᲐ ᲜᲑᲐ-Ს „ᲡᲘᲔᲢᲚ ᲡᲣᲞᲔᲠᲡᲘᲜᲘᲥᲡᲘᲡ“.

„ᲡᲝᲜᲘᲥᲘᲡᲘᲡ“ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲞᲝᲚ ᲕᲔᲡᲢᲤᲝᲚᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲬᲧᲕᲔᲢᲐ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘᲐ ᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲓᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲓᲐᲪ. ᲐᲛ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲔᲮᲔᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲢᲔᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲛᲐᲕᲐᲠᲗᲐ ᲐᲒᲔᲜᲢᲘ. ᲘᲒᲘ ᲓᲐᲐᲚᲚᲝᲒᲑᲘᲗ ᲘᲡᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲡ „ᲤᲘᲜᲘᲥᲘᲡᲨᲘ“. ᲕᲔᲡᲢᲤᲝᲚᲘ ᲗᲕᲚᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲘᲪᲘᲡ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘᲐᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔ. ᲛᲐᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲓ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘ.

ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ ᲑᲣᲠᲗᲡ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲮᲔᲚᲘᲗ, ᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲠᲘᲒᲘᲐᲜᲘ ᲞᲐᲡᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲐᲣᲚᲐᲛ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲡᲕᲠᲘᲡ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲜᲐᲙᲚᲘᲪ — ᲒᲐᲛᲮᲓᲐᲠᲘᲐ. ᲛᲐᲜ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ: „ᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲐᲙᲐᲠᲝᲜᲘᲕᲘᲗ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲫᲚᲘᲔᲠᲓᲔᲗ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲐᲓ.“

ᲬᲜᲔᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲨᲘ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘᲐᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲕᲔᲑᲓᲐ 200 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲐᲛ ᲡᲔᲖᲝᲜᲨᲘ ᲛᲐᲜ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 15 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲐᲘᲦᲝ. ᲛᲐᲜ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲒᲔᲜᲢᲘ ᲓᲐᲘᲥᲘᲠᲐᲕᲐ — ᲢᲝᲜᲘ ᲓᲐᲢᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲔᲢᲚᲔᲤ ᲨᲠᲔᲛᲤᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡᲐᲪ ᲘᲪᲐᲕᲡ. ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘᲐᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲐᲢᲝᲕᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ „ᲡᲘᲔᲢᲚᲨᲘ“ ᲒᲐᲓᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲒᲐᲣᲯᲐᲜᲯᲚᲓᲔᲑᲐ.

ᲬᲜᲔᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲘᲥ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘᲐᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲥᲣᲚᲘ. ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲘᲒᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲐᲒᲔᲜᲢᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ. ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲘᲧᲝ.

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲚᲘᲣᲑᲚᲐᲜᲨᲘ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘᲐᲡ ᲓᲔᲓᲐᲡ, ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜ ᲝᲚᲒᲐᲡ ᲨᲔᲕᲔᲮᲛᲘᲐᲜᲔᲗ. ᲛᲐᲜ ᲒᲕᲘᲗᲮᲠᲐ, „ᲡᲘᲔᲢᲚᲛᲐ“ 250 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲓᲐ „ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲡ“ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ, ᲐᲮᲚᲐᲕᲔ ᲓᲐᲗᲛᲝᲡ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘᲐ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲛᲐ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲝᲠ-ᲛᲔᲡᲘᲐᲓᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲐ (1994 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲚ ᲡᲢᲐᲠᲘᲡ ᲣᲛᲫᲘᲠᲤᲐᲡᲔᲡᲘ ᲗᲝᲛᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ) ᲓᲐ „ᲓᲠᲘᲛ ᲗᲘᲛ I“-ᲗᲐᲜ ᲓᲐ „ᲓᲠᲘᲛ ᲗᲘᲛ II“-ᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲝᲘᲒᲝ ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲔᲑᲘ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲘᲒᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲣᲛᲫᲘᲠᲤᲐᲡᲔᲡ ᲤᲠᲗᲐᲓ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲚᲔᲡ ᲜᲑᲐ-Ს ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲠᲝᲘᲡ 50 ᲣᲛᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡ ᲙᲐᲚᲐᲑᲣᲠᲗᲔᲚᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ.

ᲑᲝᲚᲝᲡᲓᲐᲑᲝᲚᲝᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝ ᲓᲠᲝᲡ „ᲩᲘᲙᲐ�გᲝ ᲑᲣᲚᲖᲘᲡ“ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ᲗᲣ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲮᲓᲐᲕᲗ, ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲗᲥᲛᲘᲡᲮᲛᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲣᲯᲝᲠᲓᲐᲜᲘᲡ ᲡᲢᲘᲚᲘᲗ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲯᲔᲠᲐᲠᲓᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ. ᲛᲐᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲓ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘ.

ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ ᲑᲣᲠᲗᲡ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲮᲔᲚᲘᲗ, ᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲠᲘᲒᲘᲐᲜᲘ ᲞᲐᲡᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲐᲣᲚᲐᲛ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲡᲕᲠᲘᲡ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲜᲐᲙᲚᲘᲪ — ᲒᲐᲛᲮᲓᲐᲠᲘᲐ. ᲛᲐᲜ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ: „ᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲐᲙᲐᲠᲝᲜᲘᲕᲘᲗ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲫᲚᲘᲔᲠᲓᲔᲗ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲐᲓ.“

ᲬᲜᲔᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲕᲔᲑᲓᲐ 200 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ. ᲐᲓᲔᲛᲝᲙᲐᲢᲔᲑᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲔᲪᲜᲝᲑᲘᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔ. ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ 200 ᲐᲗᲐᲡ ᲓᲝᲚᲐᲠᲖᲔ ᲛᲔᲢᲡ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, „ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲛᲐ“, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲘᲘᲦᲝᲡ, ᲗᲣᲙᲘ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘᲐ ᲐᲛ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲘᲥ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ. ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲘᲒᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲐᲒᲔᲜᲢᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ. ᲒᲣᲨᲘᲜ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ ᲘᲜᲢᲘᲠᲔᲜᲢᲘᲗᲘᲗ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛ „ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘᲐ ᲨᲔᲣᲔᲠᲗᲓᲐ ᲜᲑᲐ-ᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲑᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲓᲦᲘᲐᲜ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲡᲐᲛᲘᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲡ“ — ᲔᲡ ᲕᲝᲕᲐᲡ ᲓᲔᲓᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲐ.

ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘᲐ ᲡᲘᲔᲢᲚᲨᲘ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ. ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲐ ᲕᲘᲠᲐᲡᲬᲘᲗ ᲛᲝᲒᲕᲐᲮᲔᲠᲮᲔᲗ. ᲐᲡᲔᲕᲔ ᲯᲘᲣᲢᲐᲓ ᲓᲣᲛᲓᲐ „ᲡᲘᲔᲢᲚ ᲡᲣᲞᲔᲠᲡᲘᲜᲘᲥᲘᲡᲘᲡ“ ᲝᲤᲘᲡᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ. ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲝᲓᲕᲐᲬᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲚᲘᲡᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲚᲐ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲠᲐᲪ ᲙᲚᲣᲑᲘ ᲣᲬᲔᲓᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲡ ᲐᲥᲢᲝᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲜᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲡ, ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘᲐᲛ ᲐᲛ ᲡᲔᲖᲝᲜᲨᲘᲕᲔ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲑᲐ.“

ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘᲐᲡ ᲘᲝᲚᲐᲓ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ „ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲐᲜ“ ᲬᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲙᲚᲣᲑᲛᲐ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘ ᲓᲐᲣᲠᲦᲕᲐ. ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲐᲛ ᲡᲔᲖᲝᲜᲨᲘ ᲛᲐᲜ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 15 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲐᲘᲦᲝ. „ᲡᲘᲔᲢᲚᲡ“ ᲐᲠ ᲡᲣᲠᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ ᲩᲘᲕᲚᲘ. ᲕᲘᲓᲠᲔ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲪ ᲙᲚᲣᲑᲘ ᲣᲑᲔᲓᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲡᲗᲐᲜ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐᲡ ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲡᲗᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜᲐᲪ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ ᲤᲘᲜᲘᲥᲘᲡᲔᲚ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ ᲛᲐᲙᲓᲐᲘᲡᲘᲡ. ᲛᲝᲣᲚᲝᲜᲔᲚᲐᲓ ᲛᲐᲙᲓᲐᲘᲡᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲛᲐ „ᲑᲣᲚᲖᲘᲡ“ ᲪᲘᲕᲘ ᲣᲐᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲣᲗᲕᲐᲚᲐ: ᲩᲔᲛᲘ ᲙᲚᲘᲔᲜᲢᲘ ᲣᲐᲛᲑᲘᲪᲘᲝ �გᲣᲜᲓᲨᲘ ᲐᲠ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ. ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, ᲢᲘᲛ ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲡ ᲐᲮᲚᲘ �გᲣᲜᲓᲘᲡ ᲐᲡᲐᲨᲕᲜᲔᲚᲐᲓ ᲡᲮᲕᲐ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲝᲣᲬᲔᲕᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲓᲐᲭᲔᲠᲐ.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲤᲘᲠᲐᲣᲨᲕᲘᲚᲘ

ᲞᲘᲞᲔᲜᲘ ᲰᲘᲣᲡᲢᲝᲜᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ

ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘᲡ, ᲛᲐᲘᲙᲚ ᲯᲝᲠᲓᲐᲜᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲓᲐᲜ ᲬᲐᲡᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ ᲘᲑᲐᲓᲔᲑᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ — ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲛᲘᲗᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ „ᲩᲘᲙᲐ�გᲝ ᲑᲣᲚᲖᲘᲡ“ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲝᲗ. ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲯᲝᲠᲓᲐᲜᲘᲡᲐᲖᲔ ᲑᲔᲕᲠᲐᲓ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ — ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲐ.

ᲐᲛᲯᲐᲛᲐᲓ ᲞᲘᲞᲔᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲐᲒᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐᲨᲘ „ᲰᲘᲣᲡᲢᲝᲜᲘᲡ ᲠᲝᲙᲘᲢᲡᲘᲡ“ ᲬᲔᲕᲠᲐᲓ. ᲢᲔᲮᲐᲡᲣᲠ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲘᲒᲘ ᲡᲣᲚ ᲘᲐᲤᲘ ᲓᲐᲣᲯᲓᲐ, „ᲩᲘᲙᲐ�გᲝ“ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲣᲞᲔᲠᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ ᲠᲝᲘ ᲠᲝᲯᲔᲠᲡᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲠᲐᲤᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲔ ᲬᲠᲔᲨᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ. „ᲩᲘᲙᲐ�გᲝ“ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲣᲞᲔᲠᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ ᲠᲝᲘ ᲠᲝᲯᲔᲠᲡᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲠᲐᲤᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲔ ᲬᲠᲔᲨᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ. „ᲩᲘᲙᲐᲗᲝᲜᲘᲡ“ ᲞᲘᲞᲔᲜᲘᲡ ᲬᲐᲡᲚᲘᲗ ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜᲐᲪ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ ᲤᲘᲜᲘᲥᲘᲡᲔᲚ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ ᲛᲐᲙᲓᲐᲘᲡᲘᲡ. ᲛᲝᲣᲚᲝᲜᲔᲚᲐᲓ ᲛᲐᲙᲓᲐᲘᲡᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲛᲐ „ᲑᲣᲚᲖᲘᲡ“ ᲪᲘᲕᲘ ᲣᲐᲠᲘ Შ

კორდას სალამიც დაუნუნეს

დასაწყისი პირველ გვერდზე

ჩეხის მეტოქე პირველ წრეში 22 წლის ესპანელი გალო ბლანკო იყო, ორი წლის წინ როლან გაროსის მეოთხედფინალში გასვლით გამორჩეული, მერე კი თვალსაწიერიდან გადაკარგული უკანახაზელი.

შემთხვევა, რომელსაც მატჩის ბედის შემოტრიალება შეეძლო, მესამე სეტში, ესპანელის მაწოდებაზე მოხდა.

კორდამ ფორჰენდის დასარტყმელად მეტად უხეირო მოძრაობა გააკეთა, კოჭი ამოიტრიალა და ღრიალით გაწვა კორტზე. თავის სკამთან კოჭლობით მისულ ჩეხს ექიმმა ნატკენზე ყინულები შემოულაგა და ურჩია, თამაში შეეწყვიტა, მაგრამ... „ვუთხარი, თამაშზე უარს არაფრით ვიტყვი, კორტზე მანამ დავრჩები, სანამ ბოლო დარტყმა არ შესრულდება-მეთქი“ — აღნიშნა მოგვიანებით ჩეხმა.

მატჩი გაგრძელდა და მეოთხე სეტში მორიგი ტაი-ბრეიკის დათმობის მიუხედავად, კორდას კლასმა და მებრძოლის ჟინმა თავისი გაიტანა — 6:3, 6:7 (1:7),6:4, 6:7 (4:7), 6:2.

თუმცა შეხვედრის პერიპეტიები ამაზე არ დასრულებულა. ახალგაზრდა ესპანელმა, რომელიც თავის უკმაყოფილებას თამაშის დროსაც ხმამაღლა გამოთქვამდა, მეტოქისთვის ხელის ჩამორთმევა არ ისურვა: „ჩემს პროტესტს დოპინგთან არანაირი კავშირი არა აქვს. უბრალოდ, ვფიქრობ, კოჭის ტრავმა მან მოიგონა, რომ რამდენიმე წუთით დაესვენა. ექიმს უხმო, მერე კი ამდენი და ასე ირბინო, თითქმის წარმოუდგენელია.“

მეტოქის ჟესტით კორდა გაოცებული დარჩა: „არ ვიცი, რამ გააღიზიანა, ასეთი რამ ჩემს კარიერაში პირველად მოხდა, მე ხომ უბრალოდ მატჩის მოგებას ვცდილობდი და განსაკუთრებული არაფერი გამიკეთებია.“

ჩეხმა არც ტურნირის ორგანიზატორთა საქციელის გამო გამოთქვა აღშფოთება, რომელთაც ჩემპიონს ცენტრალურის ნაცვლად პირველ კორტზე მიუჩინეს ადგილი: „ამას ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მამაჩემი მარიგებდა, ჩოგბურთის თამაში კარტოფილის მინდორზეც კი უნდა მოახერხო, თუნდაც სამკუთხა ბურთებითო.“

სანამ აკრძალულ ნივთიერება ნანდროლონის ხმარებაში გამოჭერას უსასჯელად გადარჩენილი კორდა კორტზე იბრძოდა, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ჯიმ კურიე ჩოგბურთისა და დოპინგის თემაზე ახალ ვარიაციებს ამუშავებდა.

„სტეროიდებზე მეტად მე სისხლის დოპინგის ხმარებით ვარ შეწუხებული, რასაც ჩვეულებრივი ტესტები ვერ აფიქსირებს. 35 კვირა წელიწადში მეც კი არ შემიძლია, ვითამაშო და არა მგონია, სხვამ შეძლოს, არადა, ამას ყველა ახერხებს — აღნიშნა ამერიკელმა — სახელების დასახელება არ შემიძლია, მაგრამ ვფიქრობ, საკუთარი ფორმის გასაუმჯობესებლად ასეთი ხერხები ბევრისთვის მისაღები უნდა იყოს.“

რაც შეეხება კორდას, რომლის წინააღმდეგაც კურიემ ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ გაილაშქრა, ამჯერად იგი უფრო მსუბუქად გადარჩა: „პირადად მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ჩოგბურთელები სადოპინგო წესებითა და მათი გამოყენებით ვართ აღშფოთებული. ისე, საოცარია, რომ სტეროიდის ხმარებაზე სწორედ ძვალტყავა პეტერი ჩავარდა. მასზე ყველა ჩოგბურთელზე ნაკლებ ვიეჭვიანებდი.“

კურიეს განცხადებას ერთგვაროვანი რეაქცია არ გამოუწვევია: გრეგ რეზეკიმ აღნიშნა, მსგავს რამეს მეც დიდი ხანია ვეჭვობო, სამაგიეროდ, ტოდ მარტინმა და განსაკუთრებით ანდრე აგასიმ საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქვეს: სისხლის დოპინგის ხმარებაზე არასოდეს მსმენია, კურიეს მხრიდან კი ასეთ მტკივნეულ თემაზე მსგავსი ვარაუდების ჰაერში სროლა არასწორიაო.

ამასობაში კი კაცებს შორის პირველი მოულოდნელობებიც მოხდა. ბოლო ხანებში სუსტად მოასპარეზე გერმანელმა ნიკოლას კიფერმა, როგორც იქნა, გაისროლა და მაშინვე მსოფლიოს მეხუთე ჩოგანი და სამპრას-რიოსის არყოფნაში ერთ-ერთ მთავარი ფავორიტი, კარლოს მოია (4), მოინადირა 6:7 (7:9), 6:4, 7:6 (8:6), 6:3.

ამომავალი ვარსკვლავის სტატუსი დაადასტურა 17 წლის ლეიტონ ჰიუტმაც, რომელმაც მეცამეტედ განთესილ სედრიკ პიოლინს არანაირი შანსი არ დაუტოვა. მატჩი თანაბრად მხოლოდ 3:3-მდე მიმდინარეობდა, მერე კი ნორჩმა ავსტრალიელმა უმწეო ფრანგი უკანა ხაზიდან უშეცდომო, აგრესიული დარტყმებით წალეკა და დარჩენილი 17 გეიმიდან 15 (!) მოიგო 6:3, 6:1, 6:1.

„არავინ უნდა, 17 წლის ბიჭთან წააგოს, ამიტომ, ალბათ, სედრიკიც ზედმეტად ნერვიულობდა“ — ახსნა თავისი წარმატება ვუნდერკინდმა.

პირველი წრე: ანდრე აგასი (5, აშშ) — ერნან გუმი (არგენტინა) 6:0, 6:3, 6:0; გრეგ რუზეკი (8, ინგლისი) — სკოტ დრეიპერი (ავსტრალია) 7:6 (7:3), 2:6, 6:4, 7:6 (7:5); ევგენი კაფელნიკოვი (10, რუსეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:3, 6:2, 6:4; მარტინ დამი (ჩეხეთი) — ალბერტ კოსტა (12, ესპანეთი) 6:4, 4:6, 6:4, 6:4; ტოდ მარტინი (15, აშშ) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 3:6, 4:6, 6:3, 6:4, 6:1; იუნეს ელ აინაუი (მაროკო) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 6:7 (0:7), 7:6 (7:1), 6:3, 3:6, 6:4; სხენგ შალკენი (ჰოლანდია) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 2:6, 6:3, 6:3, 6:3.



ანა კურნიკოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS მელბურნიდან

რუბლისგან განსხვავებით, ფსკერისკენ დაყვინთვაში რუს ანა კურნიკოვას ჯერჯერობით შარშანდელი დამსახურებები უშლის ხელს, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, საკლასიფიკაციო კურსის (თუ ნომრის) გასამ-გაოთხმაგებას წინ ველარაფერი დაუდგება.

გუშინ კურნიკოვამ მსოფლიოს 155-ე ჩოგანს, ყველასათვის უცნობ ჯილ კრეიბასს დიდი ვაი-ვაგლახით კი აჯობა, მაგრამ ამას საკუთარ დამსახურებაზე მეტად მეტოქის სისუსტეს უნდა უმადლოდეს. თავად კი იმ 23 ორმაგ შეცდომის გამოსწორებაზე მუშაობა უფრო მართებს, ვიდრე მატჩის შემდეგ ავტოგრაფების ასობით მსურველთა დაკმაყოფილება.

„ვფიქრობ, 50 პროცენტით ეს ტექნიკური წუნის ბრალია, 50-ით კი ფსიქოლოგიური პრობლემის. პაველ შლოზილმა (მწვრთნელმა) მირჩია, უბრალოდ, არ იფიქრო ამაზე, არაფრის შეცვლა საჭირო არ არის, ყველაფერი თავისით გამოსწორდებაო“ — განაცხადა მატჩის შემდეგ კურნიკოვამ, თუმცა ძნელი სათქმელია, მსგავს მიდგომას მდგომარეობის გამოსწორება მოჰყვება, თუ გაუარესება.

ქალები. პირველი წრე: შტეფი· გრაფი (10, გერმანია) — პაოლა სუარესი (არგენტინა) 6:0, 6:3; მარტინა ჰინგისი (2, შვეიცარია) — ლილია ოსტერლოჰი (აშშ) 6:2, 6:1; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (4, ესპანეთი) — მარიან დე შვარდტი (სამხრეთ აფრიკა) 6:2, 6:2; მონიკა სელეში (6, აშშ) — ტინა კრიზანი (სლოვენია) 6:1, 6:0; მარი პირსი (7, საფრანგეთი) — სინდი უოტსონი (ავსტრალია) 6:2, 6:1; სერენა უილიამსი (აშშ) — რალუკა სანდუ (რომანეთი) 6:2, 6:3; ელენა დოკიჩი (ავსტრალია) — ელენა მაკაროვა (რუსეთი) 6:3, 5:7, 6:4; ამანდა კუტცერი (16, სამხრეთ აფრიკა) — სანდრა კლეინოვა (ჩეხეთი) 6:4, 2:6, 7:5; სანდრინ ტესტიუ (14, საფრანგეთი) — ტარა სნაიდერი (აშშ) 6:3, 6:2.

ავთანდილ სვანიძე

ინტერვიუ მატჩის შემდეგ

ყველაფერი წინ მაქვს



მაიკლ ჩანგი

სარბიელის არქივიდან

ჯერ კიდევ შარშან მაიკლ ჩანგი მსოფლიოს მესამე ჩოგანი და დიდი სლემის ტურნირების ერთ-ერთი მთავარი ფავორიტიც გახლდათ, მაგრამ ყველაზე ღვთისმოშიშ ჩოგბურთელს ტრავმების გამო რამდენიმე თვე გაუცდა, ფორმაში ჩადგომა დროულად ვერ მოახერხა და პირველად 1988 წლის შემდეგ საუკეთესო ოცეულის გარეთ აღმოჩნდა. მელბურნში პირველ წრეში ჩანგმა ახალზელანდიელი ბრეტ სტივენი დაამარცხა 7:6 (7:4), 6:3, 6:3

— დაახლოებით სამი.

— ეს რეკორდია?

— არა. ისე, არჩევანი რომ მქონოდა, ცოტას კი წავივარჯიშებდი, მაგრამ მაჯის ტრავმის ბოლომდე მორჩენისთვის მირჩიეს, არ გამერისკა. შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ იძულებული ვიყავი, მეთევზავა, დამესვენა, მაგრამ ეს ამავე დროს ძალიან მჭირდებოდა. ვთვლი, რომ ყველაფერი რაიმე მიზეზების გამო ხდება, ალბათ, ღმერთს ასე სურდა. რეკორდი კი იმიტომ არ არის, როცა 1989 წელს ბარცაყი მოვიტეხე, მთელი ორი თვე არ მითამაშია.

— თავს ისევ ელიტარულ ჩოგბურთელად გრძნობთ?

— ვგრძნობ, რომ ჩემი ადგილი საუკეთესოთა შორისაა, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად კლასიფიკაციაში ოცეულის ქვევით ვიმყოფები. ამაზე ისიც მოწმობს, რომ ამდენი წელი ათეულში ვიყავი. მართალია, ზოგჯერ უნდა მიხვდე, რომ შენი წასვლის, სხვებისთვის ადგილის დათმობის დრო მოვიდა, როგორც სტეფანის (ედბერგის) ან ბორისის (ბეკერის) შემთხვევაში მოხდა, მაგრამ მე ერთ თვეში მხოლოდ 27 წლის ვხდები. ასე რომ, მწამს, ჯერ ყველაფერი წინ მაქვს. დარწმუნებული ვარ, თუ ძველებურად ვივარჯიშებ და მოვინდომებ, შესანიშნავი სეზონი მელის.

— მომდევნო წრეში მარკ ფილიპუსისთან შეხვედრაზე რას ფიქრობთ?

— სწორედ ასეთი მატჩებია, დიდი სლემის ტურნირებს ეშხს რომ მატებს. წარსულში, ალბათ, ასეთი ძნელი შეხვედრები პირველობის უფრო გვიანდელ ეტაპზე მომიწევდა, მაგრამ მე მაინც მოუთმენლად ველი ამ მატჩს. განსაკუთრებით იმიტომ, რომ ბოლო წლებში ფილიპუსისის და რაფტერის წარმატებებმა ავსტრალიაში ჩოგბურთი არაჩვეულებრივად პოპულარული გახადა. მე მხიბლავს მსგავსი შესაძლებლობები და გამოწვევები. სწორედ ასეთი მატჩებისას იქმნება ის სპეციფიკური ატმოსფერო, რაც ასე მიყვარს ჩოგბურთში.

— რაკი ბეკერსა და ედბერგზე ჩამოვარდა სიტყვა, ისიც უნდა ითქვას, რომ თუ რაიმე ტურნირს წლეულსაც მოიგებთ, იმ იშვიათთა შორის ამოჰყოფთ თავს, ვისაც მსგავსი რამ ზედიზედ 12 სეზონის განმავლობაში მოუხერხებია. ყურადღებას თუ აქცევთ ასეთ მიღწევებს?

— გარკვეულწილად, კი. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ბორისი და სტეფანი ჩემზე მაღალ დონეზე დგანან არა მარტო თავიანთი მიღწევებით, არამედ ჩოგბურთის ისტორიაში დატოვებული კვალით, ზეგავლენით, დიდი სლემის ტიტულებით. როდესაც ნამდვილ ჩემპიონებზე საუბრობ, უპირველესად ბორის ბეკერისა და სტეფან ედბერგის სახელები გაგახსენდება. ასე რომ, როდესაც რაიმე მიზეზით მათ გვერდით მოხსენიების პატივს დაიმსახურებ, ეს უკვე ძალიან სასიამოვნოა..

— ლენდლი ტურნირების მოგებას ზედიზედ 14 წლის მანძილზე ახერხებდა. ჩოგბურთში ამდენი ხნით დარჩენას აპირებთ?

— რატომაც არა. ვფიქრობ, ტურნირების მოგება ძალიან მნიშვნელოვანია. იმ გრძნობას, რომ ამდენი მძიმე მატჩი მოიგე და კვირას, დღის ბოლოს მთავარი ჯილდო გიყრია ხელში, ვერაფერი შეედრება. მე ისევ გავაგრძელებ შრომას, ბოლომდე დავიხარჯები და თუ ღმერთს სურს, ყველაფერი კარგად იქნება.

— რისი მიღწევა გსურთ კიდევ?

— ოთხი ამოცანა მაქვს — დარჩენილი დიდი სლემის ტურნირების მოგება (ჩანგს მარტო როლან გაროსზე უმარჯვია) და მსოფლიოს პირველი ჩოგნობა.

თარგმნა
ავთანდილ სვანიძემ

ტონგელებმა ქართველთა დასამარცხებლად სამხრეთაფრიკელებს უხმეს

მსოფლიოს თასის შესარჩევ ეტაპზე ქართველ და ტონგელ მორაგბეთა შეხვედრამდე უფრო და უფრო ცოტა დრო რჩება, მატჩების ჩატარების თარიღები კი ჯერაც დაუზუსტებელია, უფრო სწორად, გაურკვეველია ბორჯღალოსანთა პოლინეზიას სტუმრობის დღე. საქმე ისაა, რომ ქართული რაგბის ხელმძღვანელთ ტონგელი კოლეგებისთვის შეუთვლიათ, 28 თებერვალს თქვენთან, ერთი თვის თავზე კი ჩვენთან ვითამაშოთო, მაგრამ მეტოქემ პასუხი დაახანა. ჩვენებსაც სხვა რა დარჩენოდათ, პოლინეზიელთა საქციელი საერთაშორისო ფედერაციისთვის უცნობებიათ. მსოფლიო რაგბის მამებმა ქართველებს პასუხი არ დაუგვიანეს — თუ წლის ბოლომდე მეტოქემ მატჩების გამართვის თარიღები არ გაცნობათ, თქვენს მიერ შეთავაზებულ დღეებში ითამაშეთო.

წელი ისე გაილია, საქართველოს რაგბის კავშირს ტონგადან არავინ შეხმიანებია და წესით თამაშებიც 28 თებერვალს და 28 მარტს უნდა გამართულიყო, მაგრამ ახლახან ტონგადან ფაქსი მოვიდა, 28 მარტი ჩვენთვისაც ხელსაყრელია, აი, 28 თებერვლის ნაცვლად კი 13 მარტს შევერკინოთ ერთმანეთსო. ეს დღე ბორჯღალოსნებს ხელს არ აძლევთ, რადგან ძალიან მცირე დრო რჩება მეორე მატჩისთვის მოსამზადებლად. ამასთან, 20 მარტს საქართველოს საფრანგეთის შეიარაღებული ძალების ნაკრები ეწვევა. ასე რომ, როდის გაიმართება პირველი შეხვედრა, ჯერაც უცნობია, თუმცა ესეც სულ მალე, კერძოდ კი ბორჯღალოსანთა უელსს სტუმრობის დღეებში დადგინდება.

მანამდე კი, სანამ ქართველები უელსის თასისთვის იბრძვიან, ჩვენმა მოწინააღმდეგემ მწვრთნელი შეიცვალა. ქვეყნის უმაღლესი სპორტული საბჭოს გადაწყვეტილებით ტონგელ მორაგბეებს ამიერიდან სამხრეთაფრიკელები გაწვრთნიან. ნაკრების მთავარი მწვრთნელი დოქტორ იენატიუს ფილიპულ ვილჰელმ პრეტორიუსი იქნება. მას ასისტენტობას სებასტიან იაკობ ჰეტინგი გაუწევს, ხოლო დევიდ სინკლერ უეტერსონი ტექნიკური მრჩევლის მოვალეობას შეასრულებს.

სპორტული საბჭოს ხელმძღვანელებს იმედი აქვთ, სამხრეთაფრიკელი მწვრთნელები თავს გაართმევენ დაკისრებულ მოვალეობას, რომელიც მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე მოხვედრას გულისხმობს. საამისოდ ტონგელი რაგბის მამები ფულს არ იშურებენ. იქაური პრესის ცნობით, სამხრეთაფრიკელები საკმაოდ სოლიდურ გასამრჯელოს მიიღებენ, თუმც თანხა არ დაუზუსტებიათ.

კაატა თოთაძე

ინგლისი მოკვეთეს?!

პარასკევს ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში „ექვსი ერის" პირველობის (გაისად ევროპის ხუთ ბობოლა სარაგბო ქვეყანას იტალიაც ემატება) საშეჯიბრო კომიტეტის სხდომა გაიმართა. მთავარი საკითხი ტელეტრანსლაციებიდან შესული თანხის განაწილება იყო. პირველი კონტრაქტი ამ ფულის გაყოფის თაობაზე ინგლისმა, ირლანდიამ, შოტლანდიამ და უელსმა 1996 წელს დადეს (საფრანგეთს ჯერაც არ მოუწერია ხელი) და ახლა მისი გაგრძელება სურდათ. სურვილი სურვილად დარჩა, რადგან ინგლისმა, რომელიც უკვე კარგა ხანია, ამბობს, სხვებზე მეტი მე მეკუთვნისო, კონტრაქტის ძველი ვარიანტის განახლებაზე უარი განაცხადა. აქ მართლაც ძალიან დიდ თანხებზეა საუბარი და, რა თქმა უნდა, დათმობაზე არც სხვები წავიდნენ. ერთი სიტყვით, დანარჩენმა ხუთმა წევრმა ინგლისს თავისი პოზიციის შეცვლა მოსთხოვა და უკანასკნელ ვადად ორშაბათი საღამო დაუთქვა — ამ დროისთვის გონს თუ არ მოეგებით, ჩვენი რიგებიდან საერთოდ გაგრიცხავთ და წლეულს თქვენს მაგივრად იტალიას ვეთამაშებითო.

დათქმული დრო მალე გავიდა, ინგლისმა კი ქვა აადო და თავი შეუშვირა — გადაწყვეტილება არაფრით შეცვალა. ჰოდა, თავისი პრეზიდენტის, შოტლანდიელი ალან ჰოსის მიერ შეკრებილმა საშეჯიბრო კომიტეტმა მუქარა ასრულა — ინგლისი „ხუთი ერის" პირველობიდან მოკვეთა. „ორშაბათს, ნაშუადღევს, ინგლისის რაგბის კავშირმა უარი განაცხადა 1996 წელს მიღწეული შეთანხმების პირობებს დამორჩილებოდა, რაც ამ ტურნირში მონაწილე ქვეყნებს შორის თანამშრომლობის საწინდარია, ჩვენს მიერ წაყენებული ულტიმატუმის ვადა გავიდა და ინგლისიც ავტომატურად გაირიცხა კომიტეტიდან და ტურნირიდან" — განუცხადა ჟურნალისტებს ბატონმა ჰოსიმ. თუმცა ინგლისი ერთი პირობით თანახმა იყო, კვლავ მოეწერა კონტრაქტზე ხელი — ფრანგებსაც ივიდე უნდა გაეკეთებინათ, მაგრამ საფრანგეთი სხვაზე მეტ ფულს არ ითხოვს და კონტრაქტსაც, ალბათ, მალე შეუერთდება, ხოლო ინგლისელების ქედმაღლობით განაწყენებულმა დანარჩენმა ბრიტანელებმა „უფროსი ძმა" აღარ დაინდეს.

ამ ამბავს რაგბის სამყაროში დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ზოგი ამბობს, მაინც დაუშვებენო, ზოგი — არაო. ახლა, ჩვენი აზრით, ყველაზე საინტერესო კომენტარებს გაგაცნობთ:

ლორენს დალალიო (ინგლისის ნაკრების კაპიტანი): „ჩვენ ისე განვაგრძობთ მზადებას, თითქოს ყველა პრობლემა გადაჭრილია და ინგლისი კვლავ ხუთ ერს შორისაა. პირველ ტურში (6.02) ვისვენებთ, ხოლო მეორეში შოტლანდიის თვიქნემში მისაღებად (20.02) ყოველნაირად მზად ვიქნებით. სიმართლე რომ ვთქვა, ასეთი განხეთქილებები დღევანდელი რაგბის თანამდევია, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ყველაფერი მოგვარდება".

ნოელ მერფი (ირლანდიის რაგბის კავშირის პრეზიდენტი): არ მინდა, დავიჯერო, რომ ინგლისმა თვითმკვლელობა განიზრახა. ძალიან ვწუხვარ, რომ ინგლისის რაგბის ფედერაცია აღარ ეთანხმება 1996 წელს ხელმოწერილ საბუთს. იმედი მაქვს, რომ სანამ ძალიან გვიან არ იქნება, ისინი თავის პოზიციას შეცვლიან, დრო ხომ ახლა მათ წინააღმდეგ მუშაობს. მჯერა, საღი აზრი გაიმარჯვებს და ინგლისი „ხუთი ერის" პირველობას დაუბრუნდება".

შოტლანდიის რაგბის კავშირის კომუნიკე: „ისევე, როგორც რაგბის ყველა ნაღდ ქომაგს, ჩვენც გვწამს, რომ ეს უთანხმება უახლოეს მომავალში გადაიჭრება".

ჩვენი მხრივ იმას დავამატებთ, რომ ინგლისი, ალბათ, უძლები შვილივით დაუბრუნდება საკუთარ ოჯახს, რადგან მის გარეშე „ხუთი ერის" პირველობას ადრინდელი ეშხი და ლაზათი დაეკარგება, დანარჩენებიც გულში ჩაიხუტებენ. მოკლედ, პრობლემის გადაწყვეტას კვირის ბოლოს უნდა ველოდოთ, იმ იმედით, რომ „სკუადრა აბურა" დანარჩენ ხუთ ერს მხოლოდ 2000 წელს შეუერთდება.

გაიოზ თალაკვაძე



ინგლისელ მორაგბეებს პრობლემის მოგვარების იმედი აქვთ

გაცვლები: ზარალი თუ ხეირი?

REUTERS ოტავიდან

ფილადელფიელი ჯოდი ჰალის პირველი გოლით ოტაველთა განადგურება დაიწყო

18 იანვარი

ოტავა — ფილადელფია 0:5

0:2 0:1 0:2

0:1 ჰალი 3'23 (2); 0:2 ლინდროსი 13'21 (25); 0:3 მაკჯილისი 35'24 (6); 0:4 ლანგკოუ 40'26 (6); 0:5 დეფარდენი 46'35 (8)

იანვრის საუკეთესო გუნდების შეხვედრა დღის მთავარ მოვლენად იქცა. რაც მოედანზე ხდებოდა, სამოლოო ანგარიშში სულაც არ აისახა. ოტავას რომ იღბალი ჰქონოდა, განსაკუთრებით მეორე პერიოდში, შედეგიც სხვაგვარი იქნებოდა. გარდა ამისა, კვლავ შესანიშნავად ითამაშა „ფლაიერსის" მეკარე ჯონ ვანბისბრუკმა, რომელმაც ბოლო ხუთ მატჩში მეოთხე შათაუტი მიითვალა. არც ლინდროსი გამოიყურებოდა ურიგოდ და 2 (1+1) ქულით თავისი მარაგი 58-მდე (25+33) გაზარდა. ჰალ-ლანგკოუ-ფორბსის სამეულმა არა მარტო ოტაველთა ლიდერები, ალექსეი იაშინის ტრიო შეაჩერა, არამედ ორი გოლიც მიითვალა.

ბოსტონი — ნეშვილი 8:1

1:1 3:0 4:0

1:0 ტ. ტეილორი 2'14 (2); 1:1 ჩელბერგი 17'51 (9); 2:1 ჰაინცე 20'16 (12); 3:1 ჰაინცე 31'54 (13); 4:1 სუინი 35'43 (2); 5:1 აქსელსონი 41'19 (5); 6:1 ტორნტონი 43'37 (8); 7:1 ხრისტიჩი 46'57 (9); 8:1 სავაჟი 59'11 (1)

ეს იშვიათი შემთხვევაა: ბოსტონის ამ ერთობ დამაჯერებელ გამარჯვებაში „დათვების" ლიდერებს — ჯეისონ ელისონის (1 პასი) სამეულს — ნაკლები წილი უძევთ. სამაგიეროდ, მასპინძელთა ახალბედებმა ჯო ტორნტონმა (1+1) და ანდრე სავაჟმა (ნჰლ-ში პირველი გოლი) იაქტიურეს.

კაროლინა — ტორონტო 4:2

2:1 2:1 0:0

0:1 სუნდინი 7'04 (15); 1:1 ჟელინა 17'03 (6); 2:1 კაპანენი 17'51 (13); 2:2 ტომასი 20'18 (16); 3:2 რობერტსი 25'41 (8); 4:2 რობერტსი 39'53 (9)

ფლორიდა — გუფალო 0:4

0:2 0:2 0:0

0:1 ბარნაბი 4'47 (4); 0:2 სანდერსონი 6'07 (9); 0:3 ვარადა 26'54 (7); 0:4 ჰეკა 31'18 (17)

ფლორიდელ ფორვარდებს პაველ ბურეს მოლოდინში მეტოქეთა კარის გზა დაავიწყდათ. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ დომინიკ ჰაშეკს მე-8 შათაუტის (კარიერაში 41-ე) მისაღწევად 33 დარტყმის მოგერიება მოუხდა, მასპინძლებმა „დომინატორი" სერიოზულად ერთი ორჯერ თუ შეაწუხეს.

დალასი — ვანკუვერი 3:5

2:2 0:2 1:1

1:0 ვერბიკი 0'58 (11); 1:1 ნესლუნდი 6'06 (23); 2:1 ჰალი 14'31 (15); 2:2 მუკალტი 16'26 (14); 2:3 კლეტი 21'09 (3); 2:4 მოგილნი 29'20 (5); 2:5 მესიე 53'52 (13); 3:5 ლუდვიგი 59'32 (2)

ამასობაში პაველ ბურეზე გაცვლილი ჰოკეისტები უკვე შეუდგნენ საქმეს. ცენტრფორვარდ დეივ განიეს (2 პასი) შეძენილ კანადელებს მეორე ძლიერი სამეულის ჩამოყალიბების საშუალება გაუჩნდათ (მწვრთნელებმა ვეტერანს სეზონის ერთ-ერთი აღმოჩენა ბილ მუკალტი (1+1) და შედეგიანი შვედი მარკუს ნესლუნდი (1+1) შეუამხანაგეს), ედ ჟოვანოვსკიმ კი კლუბის დაცვა კიდევ უფრო საიმედო უნდა გახადოს. ასეა თუ ისე, სადებიუტო მატჩი ორივემ ჩინებულად ჩაატარა, ხოლო ვანკუვერმა ლიდერი ზედიზედ მეორედ დაამარცხა.

სან ხოსე — ნიუ ჯერსი 3:1

1:0 1:1 1:0

1:0 ფრიზენი 8'49 (12); 1:1 როლსტონი 23'01 (12); 2:1 მარლო 25'05 (9); 3:1 მატო 57'08 (4)

ანაჰაიმი — პიტსბურგი 5:3

1:0 1:0 3:3

1:0 ოლაუსონი 12'44 (10); 2:0 მაკინისი 22'46 (11), 3:0 სანდსტრიომი 44'56 (6); 4:0 მაკინისი 48'15 (12); 4:1 ტიტოვი 52'10 (6); 4:2 სტრაკა 56'50 (20); 4:3 სტრაკა 58'24 (21); 5:3 კარია 59'35 (18)

მატჩის ბოლოს მასპინძლებმა თავად გაირთულეს საქმე, 6 წუთში 3 შაიბა გაუშვეს (ტიტოვ (1+2) — სტრაკას (2+1) ტანდემი გამოირჩა) და კიდევ რამდენჯერმე გადარჩნენ. ანაჰაიმელებმა მხოლოდ მას შემდეგ ამოისუნთქეს შვებით, რაც პოლ კარიამ (1+1) ცარიელ კარში გაიტანა. მისმა პარტნიორმა ტეემუ სელიანემ 3 პასი მიითვალა.

მონრეალი — ვაშინგტონი 4:4

2:0 2:3 0:1 0:0

1:0 კინტალი 8'44 (5); 2:0 უეინრიჩი 19'11 (4); 2:1 მილერი 22'20 (2); 3:1 სავაჟი 24'10 (10); 3:2 ჟუნიო 26'55 (8); 3:3 გონჩარი 35'49 (2); 4:3 მალახოვი 39'20 (8); 4:4 ბონდრა 48'22 (15)

სამეულ ღარიბიანი

ჯიუტმა ბურემ თავისი გაიტანა

REUTERS მოსკოვიდან

პაველ ბურე

როგორც იქნა, გადაწყდა სეზონის მთავარი მემამბოხის პაველ ბურეს ბედი. ჯიუტმა ფორვარდმა, რომელმაც ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე განაცხადა, რომ არც ერთ თამაშს აღარ ჩაატარებდა ვანკუვერში, თავისი მაინც გაიტანა და ფლორიდასთან განხორციელებული 7-კაციანი გაცვლის მთავარი მონაწილე გახდა — იგი ამიერიდან „პანტერების" ღირსებას დაიცავს. ვარსკვლავს ახალ კლუბში მცველები ბრეტ ჰედიკანი და ბრედ ფერენსი გაჰყვნენ, კანადელებმა კი მათ ნაცვლად ვეტერანი ცენტრი დეივ განიე, ნიჭიერი მცველი, 1994 წლის დრაფტის პირველი ნომერი ედ ჟოვანოვსკი, ფორვარდი მაიკ ბრაუნი და ზანგი მეკარე კევინ უიკზი მიიღეს.

სატურნირო ვითარება

ჩრდილო-აღმოსავლეთი						
ტორონტო	44	25	3	16	142:127	53
ბუფალო	42	23	7	12	118:84	53
ოტავა	43	23	6	14	128:99	52
ბოსტონი	42	20	7	15	115:94	47
მონრეალი	45	17	8	20	106:117	42

ატლანტა						
ფილადელფია	43	23	10	10	131:86	56
ნიუ ჯერსი	42	23	5	14	122:112	51
პიტსბურგი	40	20	7	13	120:108	47
რეინჯერსი	43	17	7	19	115:120	41
აილენდერსი	44	13	3	28	99:129	29

წყნარი ოკეანე						
დალასი	42	27	7	8	123:83	61
ფინიქსი	40	23	6	11	106:82	52
ანაჰაიმი	43	17	8	18	107:101	42
სან ხოსე	44	15	11	18	102:103	41
ლოს ანჯელესი	43	16	4	23	100:113	36

სამხრეთ-აღმოსავლეთი						
კაროლინა	44	20	7	17	115:103	47
ფლორიდა	42	15	11	16	103:112	41
ვაშინგტონი	42	16	4	22	99:109	36
ტამპა	43	9	4	30	89:151	22

ცენტრი						
დეტროიტი	44	22	3	19	130:118	47
სენტ ლუისი	40	16	9	15	107:100	41
ნეშვილი	43	15	4	24	98:139	34
ჩიკაგო	44	12	7	25	94:138	31

ჩრდილო-დასავლეთი						
კოლორადო	43	20	4	19	105:107	44
ედმონტონი	43	18	6	19	123:113	42
ვანკუვერი	44	15	6	23	114:131	36
კალგარი	44	14	4	26	107:134	32

ბომბარდირები: ლინდროსი (ფილადელფია) 58 (25+33); კარია (ანაჰაიმი) 58 (18+40); ლეკლერი (ფილადელფია) 55 (27+28); იაგრი (პიტსბურგი) 54 (17+37); იაშინი (ოტავა) 51 (20+31); სელიანე (ანაჰაიმი) 49 (21+28); ფორსბერგი (კოლორადო) 49 (12+37); ბრინდამორი (ფილადელფია) 47 (17+30); აი ზერმანი (დეტროიტი) 46 (19+27); ფლერი (კალგარი) 46 (21+25); სტრაკა (პიტსბურგი) 45 (21+24); ხრისტიჩი (ბოსტონი) 45 (19+26); მოდანო (დალასი) და სუნდინი (ტორონტო) 45 (15+30)

სარგბილის არქივიდან

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ

მუჰამედ ალისა და მაიკ ტაისონის მეგობრობა ძველია. ერთხელ, ციხეში მჯდომმა მაიკმა წერილიც კი მისწერა ალის: „ძალიან მენატრები, მაგრამ ფიქრიც კი, რომ ამ საზიზღარ ადგილას მოგიწვიო, მზარავს“. 17 იანვარს კი, ბოთას გვეების მეორე დღეს, მაიკი და მუჰამედი ლას ვეგასის „ემჯიემ გრენდის“ ერთ-ერთ რესტორანში შეხვდნენ ერთმანეთს. მიზეზიც ჰქონდათ — კვირას მუჰამედ ალი 57 წლისა შესრულდა და თავის მეგობართან ერთად დააგემოვნა ვეგასური საშზარეულოს კერძები.

REUTERS ლას ვეგასიდან

ᲓᲘ ᲛᲐᲯᲘᲝ ᲛᲝᲛᲯᲝᲑᲘᲜᲓᲐ

ᲯᲝ დი მაჯიო, დიდი კეტბურთელი, სიმღერებისა და რომანების გმირი, კვლავ ცოცხალია! ცოცხალია და ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს! ოღონდ, მისი გამობრუნება და გამოჯანმრთელება მეტად სათუო ამბავია.

შემოდგომიდან მოკიდებული ფილტვების ანთებით და ინფექციებით ტანჯული დი მაჯიო ჰოლივუდის მემორიალურ ჰოსპიტალში მკურნალობდა, ზამთარში კი კომაში ჩავარდა და გონს ახლაღა მოვიდა.

84 წლის დი მაჯიო კვლავ მოხვდა სააგენტოთა შეტყობინებებში იმიტომ, რომ იგი საავადმყოფოდან გამონერეს და შინ გადაიყვანეს. ჩანს, ასეთი იყო თავად მისი სურვილი. დიად მოხუცს არ ნდომებია ჰოსპიტალში ყოფნა. სახლში დი მაჯიოს ოცდაოთხსაათიან საექიმო მორიგეობას დაუწესებენ.

ახლა ავადმყოფს წამოჯდომაც შეუძლია და ლაპარაკიც.

ჰოლივუდის მემორიალური ჰოსპიტალის საბავშვო განყოფილებას კი უკვე მიენიჭა მისი სახელი.

სარგბილის არქივიდან

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲨᲐᲕᲘ ᲕᲔᲠᲐᲒᲘ

ჰოკეის მეკარეთა აღკაზმულობაში თითქმის ყველაფერი გათვალისწინებულია, რათა რომელიმე სათამაშო სიტუაციაში ტრავმა არ მიიღონ. მრავალი დეტალი — ფარები, მხრის დამცავები, სამკერდეები და ნიღაბი თითქოსდა მაქსიმალურად იცავს მათ. ეს პატარა ვერაგი რეზინის დისკი კი, რომელსაც შაიბა ჰქვია, ზოგჯერ მაინც აკეთებს შავ საქმეს — როცა დარტყმის შემდეგ 150 კმ/სთ სიჩქარით მიფრინავს, ტყვიასავით ხდება და ჰოკეისტებს ხანდახან ნიღაბიც ვეღარაფერს შველით. ამ სურათზე აღბეჭდილია ტამპელი ბილ რენფორდი, რომელიც თვალს ადევნებს მჭოლავ შაიბას. ნუ შეშინდებით, ამჯერად არაფინ დაშავებულა, მხოლოდ რენფორდს შეეშინდა ოდნავ.

REUTERS მელბურნიდან

ᲐᲕᲢᲝᲒᲠᲐᲤᲔᲑᲖᲔ ᲜᲐᲓᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ

ავტოგრაფების მოყვარულთა ნაკლებობას ჩოგბურთი არასოდეს განიცდიდა, მაგრამ მელბურნში მიმდინარე ავსტრალიის ღია პირველობამ მაინც ყველანაირი რეკორდი მოხსნა. ანა კურნიკოვასა და მარტინა ჰინგისს ძლიერი სქესის იმდენი წარმომადგენლის დაკმაყოფილება უხდებათ, ტურნირის ორგანიზატორებს მომდევნო მატჩის დროულად დასაწყებად თვით ჩოგბურთელთათვის სჭირდებათ კორტის დატოვების შესახებ თხოვნა.

REUTERS მელბურნიდან

ᲡᲐᲠᲒᲑᲘᲔᲚᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი ბიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორაიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება
კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, შამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური ფეხბურთის განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე **ინფორმაციის განყოფილება** ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ,
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ 42, II ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, IV ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ.
ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 79,
ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲘ 208.
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 39 48 29